[საქართველოს] პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 96
(11 757)

12 – 15 დეკემბერი, 2003 წ. ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ნომერშია:


- თბილისის ტურნირის მოლოდინში 
- ისევ გორი?!
- ვეტერანი  ფეხბურთელები მხარს უჭერენ არჩევნებს
- „ნორჩი დინამოელი“  იუბილარია
- „მილანი“ ახლოსაა რეკორდთან 
- ავიაგამანადგურებელს  გაუსწრო
- საჭადრაკო  ამოცანა, კროსვორდი


თქვენ რას ფიქრობთ? გამოხმაურება

# „....თუ გამორჩევით მქმნელია“

## დამთავრდეს ძველი მიდგომა

ჩემი აზრით, ბიუჯეტის თანხა 2004 წელს ძირითადად უნდა მოხმარდეს სპორტის იმ სახეობებს, რომლებმაც 2003 წელს გამოიჩინეს თავი, რათა მათი შემდგომი წინსვლა წახალისდეს. ეს მაგალითი იქნება სხვებისთვისაც — მიაღწიე თვალსაჩინო შედეგს — მომავალ წელს მიიღე მეტი! ეს პრინციპი ტრადიციულად უნდა დამკვიდრდეს თუ გვინდა, რომ ახალი იმპულსი შევმატოთ ქართულ სპორტს.

სპორტის ისეთი სახეობა, რომელიც არ შედის ოლიმპიურ პროგრამაში, ბიუჯეტიდან, საერთოდ, არ უნდა დაფინანსდეს, მათ ხარჯზე არ უნდა დასუსტდეს ჩვენს ქვეყანაში სპორტის ტრადიციული და წამყვანი სახეობები. შექმნან კლუბები და მოიძიონ თავისთვის სახსრები, მათ შორის საერთაშორისო ასპარეზზე გასასვლელად. საერთოდ, სპორტის თითოეული სახეობის მესვეური თვლის, რომ მისი სახეობა იმსახურებს ყველაზე მეტ ყურადღებას. უნდა დამთავრდეს ასეთი მიდგომა. როგორც ზემოთ გითხარით, სპორტის ნებისმიერი სახეობების სავიზიტო ბარათი უნდა იყოს მის მიერ წლის განმავლობაში ნაჩვენები შედეგები, მაგრამ დაფინანსებაში ლომის წილი უნდა ვარგუნოთ ოლიმპიურ სახეობებს. დანარჩენებს წახალისების სხვა ფორმით მივაგოთ პატივი.

ბიძინა სალდაძე, თბილისი.

# ჟამი ფიქრისა და განსჯისა



# ტკბილ-მწარე ვარიაციები ჩემპიონატის თემაზე



ეროვნული ჩემპიონატი ზამთრის ძილს მიეცა. ახლა განვლილი გზის ანალიზისა და განსჯის დროა. პირველი, რაც ალალად შეიძლება ითქვას, ის არის, რომ საქართველოს მეთხუთმეტე პირველობა წინამორბედებზე გაცილებით დაძაბული და ინტრიგის მომცველია. წლეულს, უმთავრესი სიახლე ის არის, რომ ჩამოყალიბდა ახალი სტრუქტურა, პროფესიული ფეხბურთის ლიგა, რომელიც ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია, ნელ-ნელა იხვეწება და დამოუკიდებლობას ეჩვევა. მისასალმებელია სიახლის ძიების სურვილი, ინვესტიციების, ფულის ჩადების აუცილებლობის შეგრძნება, რაც ქართული ფეხბურთისთვის სიახლეა და მისი ინფრასტრუქტურის განვითარების წინაპირობაა. მომავალში შეიძლება პირველობის სტრუქტურა, ჩატარების სისტემაც კი შეიცვალოს და უსახსრობით გაწამებული კლუბებიც არც ჰარბობდნენ, რომლებიც ჩვენი პირველობის უდავო ნაკლად შეიძლება მივიჩნიოთ. ძლიერი, ფინანსური და სპორტული თვალსაზრისით გამართული კლუბი ჩვენში სულ რამდენიმეა. მათნაირები კი, უდავოა, სტადიონებზე მაყურებლებს კვლავ მოიზიდავს, ქომაგს ფეხბურთისკენ გულს მოუბრუნებს, დაფასდება მსაჯის შრომაც, რომელიც

იხ. მე-3 გვ.

# მილოცვები

შპს სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრი მადლიერების გრძნობით ულოცავს დაბადებიდან 50 წლისთვს სახელოვან ვეტერან ფალავანს და სასიქადულო მამულიშვილს **მიხეილ სალაძეს.**

* * *

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორიისა და მეთოდიკის კათედრის თანამშრომელს, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეს, ღირსების ორდენოსანს, სპორტის დამსახურებულ მუშაკს, ძალოსნობაში უმაღლესი კატეგორიის მსაჯს, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატს, დოცენტს, ახალგაზრდა თაობის აღმზრდელს, მწვრთნელ-მასწავლებელს, სამეცნიერო შრომების, სახელმძღვანელოებისა და საგაზეთო წერილების ავტორს, სასიქადულო მამულიშვილს **შოთა ბუაძეს,** საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია ულოცავს დაბადების დღეს.

# სპორტული წარმატებებისათვის თეორიული მომზადებაცაა საჭირო

არც თუ შორეულ წარსულში ქართული სპორტის გულშემატკივარი განსაკუთრებით განებივრებული იყო საქართველოს სპორტსმენთა წარმატებებით, რაც ამაღლებდა ეროვნულ ღირსებას. დღევანდელი სპორტული წარმატებები შედარებით მოკრძალებულია, რასაც მიზეზთა კომპლექსი განაპირობებს მთავარი კი არასაკმარისი დაფინანსებაა.

წარსულში წინსვლის მთავარი ფაქტორი სპორტის მასობრიობა იყო, რაც ხელს უწყობდა სპორტული გუნდების ნიჭიერი სპორტსმენებით დაკომპლექტებას. დღეს ბევრმა გამოჩენილმა თუ პერსპექტიულმა სპორტსმენმა უცხოეთს შეაფარა თავი, მწყობრიდან გამოვიდა ან განადგურდა მრავალი სპორტული ბაზა, შეიკვეცა სპორტული სექციების მუშაობა, გაუქმდა არაერთი სპორტული სკოლა, სპორტის ბევრმა მუშაკმა, მათ შორის ფიზკულტურის მასწავლებელმა და მწვრთნელმა შეიცვალა პროფესია და ა.შ.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ქართული სპორტი მაინც ცოცხლობს, თუმცა გულშემატკივარს მეტი სურს. გვაქვს კი ამის შესაძლებლობა? ცხადია, სადაც პირობები და მონდომებაა. გვაქვს. როგორც ადამიანური ქცევის სხვა ფორმებში, სპორტშიც პერიოდულად იჩენს თავს როგორც აღმასვლა, ისე დაღმასვლა, რასაც მუშაობაში დაშვებული შეცდომებიც განაპირობებს. იმისათვის, რომ სტაბილურად ვაღწევდეთ მაღალ სპორტულ შედეგებს, აუცილებელია შექმნილი ვითარების პირუთვნელი, ღრმა და მეცნიერული ანალიზი, ამასთან, ანალიზი უნდა გააკეთოს მაღალპროფესიონალ სპეციალისტთა ჯგუფმა. ასეთი ანალიზი გამოავლენს განვითარების ხელშემშლელ ფაქტორებს და მოგვცემს საშუალებას დავსახოთ მდგომარეობის გამოსწორების ეფექტური გზები.

ჩვენი ღრმა რწმენით, ქართული სპორტის წარუმატებლობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, მწვრთნელთა კვალიფიკაციის დაქვეითებაა, ძალიან გვი-

იხ. მე-2 გვ.

დღეს, 12 დეკემბერს, 12 საათზე სასტუმრო „სიმპათიაში“ ჩატარდება სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის საბჭოს სხდომა.

სპორტის დეპარტამენტი

# თავისუფალ ჭადრაკში....

გუშინ, თბილისის ჭადრაკის სასახლეში დასრულდა ტურნირი თავისუფალ ჭადრაკში. ასეთი სახის ჭადრაკის არსი შემდეგში მდგომარეობს. მოწინააღმდეგეები თამაშს იწყებენ... ცარიელ დაფაზე ისინი თავიანთ სურვილისამებრ საკუთარ ნახევარზე (პირველი ოთხი ჰორიზონტალი) ახდენენ ფიგურების განლაგებას და შემდეგ იწყებენ სვლების გაკეთებას. ასეთი ჭადრაკის ფუძემდებელი გელა გურასპაშვილია. შეჯიბრებაში 16 მოჭადრაკე ასპარეზობდა შვეიცარიული სისტემით 7 ტურად. ტურნირის დაძაბულობაზე მეტყველებდა ის ფაქტი, რომ გამარჯვებულის ვინაობა სწორედ ბოლო ტურში გაირკვა. 6-6 ქულით პირველ-მეორე ადგილები გაიყვეს გიორგი ყაჭეიშვილმა და ნინო ხურციძემ, რომლებმაც მეშვიდე ტურში შესაბამისად დავით არუთინინი და ნანა ძაგნიძე დაამარცხეს. უკეთესი კოეფიციენტის წყალობით გიორგი ყაჭეიშვილს პირველი ადგილი მიეკუთვნა. 5 ქულით მესამე ადგილზე გავიდა თორნიკე სანიკიძე.

# ოთხეულს საქმე კარგად აქვს



კალათბურთი • ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი

დახედეთ სატურნირო ცხრილს და დარწმუნდებით როგორი დაძაბულია მდგომარეობა ლიდერთა ჯგუფში და რა თეორიული შანსები რჩებათ აუტსაიდერებს. ფაქტობრივად, 13 ტური მიილია. მხოლოდ „ბასკოს“ აქვს ერთით ნაკლები მატჩი ჩატარებული და „ქუთაისს“ — ერთით მეტი. რას ნიშნავს ეს ლიდერისთვის და რას ნიშნავს მაჩანჩალასთვის? ბათუმელებს სამარქაფო ერთი შეხვედრა სულიერ სიმტკიცეს მატებს, ან ლიდერობის დიდ შანსს უნარჩუნებს; ქუთაისელები კი ნამდვილად უიმედოდ არიან „დალექილნი“ ცხრილის ფსკერზე.

მატჩი სტუ - „ჯეოსელსა“ და „ბასკოს“ შორის თბილისში საინტერესოდ წარიმართა. დიდ შესვენებამდე წინ სტუმრები იყვნენ, დიდი შესვენების შემდეგ — მასპინძლები. საბოლოოდ უკეთეს ბალანსსაც მათ მიაღწიეს. სტუ — „ჯეოსელმა“ ეს შეხვედრა 84:93 წააგო (18:26, 16:22; 25:23; 25:22). გამარჯვებულთაგან საუკეთესო იყო ბერძენიშვილი, რომელმაც 23 ქულა შესძინა თავის გუნდს. მეტოქე გუნდიდან კი ყველაზე მეტი ქულა დაიმსახურა შანიძემ (19).

იმავე დღეს, ასევე თბილისში, „მაქაბმა“ „რუსთავს“ უმასპინძლა. სტუმრებმა მხოლოდ პირველი მეოთხედი დათმეს, მერე ჩვეულ ტემპში ათამაშდა გუნდი, რამაც მათ სასურველი შედეგი მოუტანა. „მაქაბი“ დამარცხდა 66:88 (19:16; 15:25; 15:25; 17:22). საუკეთესონი: რუსთავი — გოგობერიშვილი (19), „მაქაბი“ — წოწელია (27).

| | | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | დინამო | 13 | 11 | 2 | +269 | 24 |
| 2. | ბასკო | 12 | 10 | 2 | +304 | 22 |
| 3. | სტუ-ჯეოს. | 13 | 9 | 4 | +188 | 22 |
| 4. | თსუ | 13 | 9 | 4 | +106 | 22 |
| 5. | რუსთავი | 13 | 7 | 6 | +34 | 20 |
| 6. | მაქაბი | 13 | 4 | 9 | -120 | 17 |
| 7. | სსუ | 13 | 2 | 11 | -302 | 15 |
| 8. | ქუთაისი | 14 | 0 | 14 | -479 | 14 |

ირაკლი სარალიძე.



დღეს, 12 დეკემბერს, სპორტის სასახლეში გაიმართება ასპარეზობა პანკრატიონში. დასაწყისი 18 საათზე.

# შეკითხვა „ლელოს“!

**შეკითხვა:** ვიცი, რომ თბილისში უნდა ჩატარდეს შეჯიბრება პანკრატიონში. გთხოვთ განმიმარტოთ რას წარმოადგენს იგი?

კახა ნიკოლაიშვილი
ქუთაისი

**პასუხი:** პანკრატიონი ჩაისახა და პოპულარული იყო ძველ საბერძნეთში. იგი წარმოადგენს ჭიდაობისა და მუშტი-კრივის ნაერთს. შედიოდა ძველი საბერძნეთის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში და ითვლებოდა ათლეტთა ერთ-ერთ ყველაზე სანახაობრივ ორთაბრძოლად.

# საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაციაში

ჩატარდა საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაციის გაფართოებული სხდომა, რომელზედაც მოისმინეს საანგარიშო მოხსენება. საბჭოთა პერიოდში ყველგან ფუნქციონირებდა სპორტული მედიცინის ფედერაცია, საქართველოში ამ საზოგადოებრივი ორგანიზაციის პირველი თავმჯდომარე იყო პროფესორი ზაქარია თელია. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში შეფერხდა ამ ფედერაციის საქმიანობა. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თაოსნობით 1995 წელს შეიქმნა საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაცია, პრეზიდენტად აირჩიეს სამედიცინო დარგის ცნობილი ორგანიზატორი, წარსულში ცნობილი ხელბურთელი გია აბესაძე, რომელმაც დიდი როლი შეასრულა საქმიანობის გააქტიურებაში, განსაკუთრებით საქართველოს ოლიმპიელების სამედიცინო უზრუნველყოფის საქმეში.

ამჟამად სპორტული მედიცინის ასოციაციის პრეზიდენტად არჩეულია, სპორტული მედიცინის დარგის სპეციალისტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო რეაბილიტაციისა და სპორტული მედიცინის კათედრის დოცენტი ზურაბ კახაბრიშვილი.

პრეზიდიუმში მის გარდა შევიდნენ: პროფესორები: მ. რუხაძე, დ. იაშვილი, ნ. ჭაბაშვილი, დ. წვერავა, მ. ლორია, გ. ჩახუნაშვილი, დ. ჩიტაშვილი, თ. დოლიძე და რ. სვანიშვილი, დოცენტები: ო. ვირუბოვი, გ. ამირიძე, ექიმები: ვ. ახალკაცი, დ. კილაძე, პ. კურტანიძე, პ. კასრაძე, კ. კილაძე და თ. სვანიშვილი.

სააგენტო „გუმათი“ – „ლელო“.

# რაგბი. საქართველოს ჩემპიონატი



ბათუმში, ანგისას სტადიონზე „დათვებმა“ უმასპინძლა „აკადემიას“. თუ ბათუმელები ამ შეხვედრას მოიგებდნენ, ჩემპიონობისთვის ბრძოლას გააგრძელებდნენ, მაგრამ მატჩი დასრულდა ფრედ 12:12, რაც ხელს აკადემიელებს აძლევდათ, რადგან ბურთების უკეთესი შეფარდებით შევიდოდნენ წინასწარ ფინალში, ასეც მოხდა.

შესარჩევი ფინალის მატჩში სტუ — „ყოჩები“ და „ლოკომოტივი“ დაუპირისპირდა ერთმანეთს. რკინიგზელებმა შესანიშნავად ჩაატარეს ეს საპასუხისმგებლო შეხვედრა და დამაჯერებლადაც გაიმარჯვეს — 30:9. ამრიგად, ჩემპიონატის ერთ-ერთი ფინალისტი „ლოკომოტივი“ გახდა.

გადასასვლელი მატჩები: ბათუმის „დათვები“2 — „აია“ 10:29; თბილისი. „უნივერსიტეტი“ — „ლელო“ 9:21.

# სპორტული წარმატებებისათვის თეორიული მომზადებაცაა საჭირო

პირველი გვერდიდან

ჭირს მუშაობის მამაპაპური მეთოდებიდან, თანამედროვე წვრთნის სტანდარტებზე გადასვლა. აუცილებელი გახდა მწვრთნელთა მუშაობაში რადიკალური რეფორმების გატარება. პირველ რიგში რეფორმები უნდა დაიწყოს სპორტის სახეობებში ფსიქოგრამების შედგენით, რაც შესაძლებლობას მოგვცემს გავერკვეთ საწვრთნო მუშაობის რა ასპექტებზე უნდა გამახვილდეს განსაკუთრებული ყურადღება და საერთოდ, როგორ დავაპროგრამოთ მომავალში მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლება.

მწვრთნელთა უმრავლესობა თავის მუშაობაში იფარგლება ძირითადად ფიზიკური და ტექნიკური მომზადებით, სპორტის ორთაბრძოლის სახეობებში მათ ემატებათ ტაქტიკური მომზადება. რაც შეეხება თეორიულსა და ფსიქოლოგიურ მომზადებას, იგი, შეიძლება ითქვას, ყურადღების მიღმაა დატოვებული, არადა, თეორიული და ფსიქოლოგიური მომზადების ფაქტორი არაერთხელ გამხდარა შეჯიბრებაში მარცხის თუ წარმატების მიზეზი. ჩვენ განებივრებულები არა ვართ ქართულ ენაზე აღნიშნულ საკითხებზე პუბლიკაციებით. განსაკუთრებით ეს ითქმის თეორიულ მომზადებაზე. როგორც კოლეგა სპეციალისტებთან საუბრებში გაირკვა, ჯერ კიდევ არაა თეორიული მომზადების ცნების ყველასათვის მისაღები დეფინიცია. ზოგი თეორიულ მომზადებას ფართო მოთხოვნილებებს უყენებს, მიაჩნია იგი პიროვნების გლობალური აღზრდის საშუალებად, ზოგსაც უმართებულოდ მიაჩნია მისი მომზადების ცალკე განხრად გამოყოფა, თვლიან, რომ თეორიული მომზადების ელემენტები, ისედაცაა მოცემული მომზადების ყველა ეტაპზე. ჩვენ არ ვეთანხმებით კოლეგების ამგვარ მოსაზრებებს, მივიჩნევთ, რომ თეორიულ მომზადებას გააჩნია კონკრეტული პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური დატვირთვაც. სახელდობრ: სპორტის ორთაბრძოლის სახეობებში, სადაც საშეჯიბრო სიტუაციები მიმდინარეობს უაღრესად ცვალებად, მოულოდნელობებით აღსავსე და ექსტრემალურ ვითარებაში. სპორტსმენს უნდა შეეძლოს შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან თავის წარმატებით დაღწევა, ვითარების ზუსტი და სწრაფი ასახვა, ანალიზი, გადაწყვეტილებების მიღება და მისი განხორციელება. სწორედ ის სპორტსმენები ასრულებენ სპორტულ გუნდებში ლიდერის, დისპეტჩერის ფუნქციებს, რომლებსაც მაღალ დონეზე შეუძლიათ სწრაფი აღქმა, ანალიზი, გადაწყვეტილებების მიღება და მათი განხორციელება. ზემოაღნიშნული მოითხოვს მაღალგანვითარებულ აზროვნებას (თუმცა პიროვნება მოქმედებს, როგორც მთელი). თეორიული მომზადების მიზანი, ზემოაღნიშნული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის აზროვნების სათანადო განვითარებაა აუცილებელი. ყოველივეს წინ უნდა უსწრებდეს თეორიული მეცადინეობების თემატიკის შედგენა, სპორსტმენის თუ გუნდის ფიზიკურ, ტექნიკურ, ტაქტიკურ და ფსიქოლოგიურ მომზადებაზე (თუმცა დასაშვებია გამონაკლისებიც). თემატიკას წინასწარ ვაცნობთ სპორტსმენებს, ვუცნობიერებთ ჩასატარებელი სამუშაოს მიზნებს, ამოცანებს და ა.შ.

მწვრთნელი სპორტსმენებს აძლევს დავალებას: 1) დეტალურად გააანალიზოს კონკრეტულ შეჯიბრებაში თავისი გამოსვლა, მიუთითოს რა მიზეზებმა განაპირობა წარმატება თუ წარუმატებლობა, 2) თითოეულ სპორტსმენს ევალება ანალოგიური დაკვირვება ჩაატაროს ერთსა და იმავე თანაგუნდელზე და 3) გუნდის თითოეული წევრის შესწავლის მიზნით საგანგებოდ აკვირდება მეტოქს (მეტოქეებს). სპორტსმენი თეორიულ მეცადინეობებზე წარდგება ანგარიშით ჩატარებული მუშაობის შესახებ, იმართება აზრთა გაცვლა-გამოცვლა, კამათი, რასაც მეტი სინათლე და გარკვეულობა შეაქვს განსახილველ საკითხში.. მეცადინეობას აჯამებს მწვრთნელი და ისახება მომავალი მუშაობის კორეგირების შესაძლებლობები.

თეორიული მეცადინეობის ჩვენს მიერ მოწოდებული სქემა არაა სტანდარტი, იგი შეიძლება შეიცვალოს, დაიხვეწოს და უფრო სრულყოფილიც გახდეს.

**დასასრულ, თუ ნამდვილად გვაწუხებს ქართული სპორტის მომავალი, არსებული ყველა რესურსი უნდა წარვმართოთ მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლებისაკენ. წარსულში კვალიფიკაციის ამაღლების კურსები ტარდებოდა გადატვირთული პროგრამით, მიმდინარეობდა ხანგრძლივად და წარმოებისგან მოწყვეტით, რატომ არ შეიძლება კურსები ჩატარდეს განტვირთული პროგრამით, იყოს ხანმოკლე, წარმოებისაგან მოუწყვეტლად?, მიგვაჩნია, რომ კურსები უნდა მიეძღვნას ან ფიზიკურ, ან ტექნიკურ, ან ტაქტიკურ და ა.შ. მომზადებას. ასეთი კურსები არც დიდ ხარჯებს მოითხოვს და არც დიდ დროს, ეფექტი კი უთუოდ საგრძნობი იქნება.**

ბივი დვალი,
ფსიქოლოგი, დოცენტი.




ათენში 2004 წლის ოლიმპიურ თამაშებამდე 246 დღე დარჩა




ზამთრის მომავალ ოლიმპიურ თამაშებს 2 წელიწადი და 3 თვე გვაშორებს

მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს. საქართველო – ქართულ სპორტს!

უკეთ, ვიდრე სიდნეიში!

პრესკონფერენცია

## 2003 წელი ღირსეულად დავიწყვით, წინ ოლიმპიადაა

**თბილისის საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში 2004 წლის 3-4 აპრილს გაიმართება – თბილისის სპორტის სასახლეში.**

ეს შეჯიბრება განსაკუთრებულია. სავარაუდოდ, 50 ქვეყნის უძლიერესი ძიუდოისტები ჩამოვლენ საქართველოს დედაქალაქში და თითოეული მათგანი იბრძოლებს ათენის



28-ე ოლიმპიური თამაშების საგზურისათვის (ლიცენზიისათვის).

სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში გამართულ პრესკონფერენციაზე, საქართველოს ძიუდოისტთა ეროვნული ნაკრები გუნდის უფროსმა მწვრთნელმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა შოთა ხაბარელმა განსაკუთრებით ჩვენი მძიმეწონოსანი, ახმეტელი ალექსი დავითაშვილი შეაქო, რომელმაც შარშანდელის მსგავსად, წლეულსაც გადაწყვიტა ჩვენი გუნდის საბოლოო გამარჯვების ბედი ევროპის გუნდურ ჩემპიონატში — ლონდონის ტატამზე. მწვრთნელმა განსაკუთრებით გამოჰყო ზურაბ ზვიადაური, რომელმაც წამებში მოიგო ინგლისელ და ესპანელ ძიუდოისტებთან შეხვედრები. შეაქო აგრეთვე ნესტორ ხერგიანი და დავით მარგოშვილი. მსაჯების არაობიექტურობის მსხვერპლი გამხდარა ივერი ჯიქურაული, შედარებით სუსტად უჭიდავია დიდი ტურნირების დებიუტანტს, დავით ნადარაიას...

ზედიზედ ორ წელიწადს „ბებერი კონტინენტის" — გუნდური ჩემპიონობა დიდი სტიმულია მოახლოებული 28-ე ოლიმპიური თამაშების წინ. ქართველმა ფალავნებმა ამით 2003 წლის საჭიდაო სეზონი ღირსეულად დააგვირგვინეს.

ათენის ოლიმპიადის დაწყებამდე, საქართველოში ჩამოსვლას და ჩვენს ძიუდოისტებთან ერთობლივ წვრთნას არაერთი ქვეყნის ნაკრები გეგმავს 2004 წლისთვის.

სპორტის დეპარტამენტში გამართულ შეხვედრაზე მადლობის სიტყვები ითქვა ფოთის პორტის, სპორტის დეპარტამენტის და ძიუდოს ფედერაციის მისამართით, რომლებმაც მოახერხეს ქართველი ფალავნების გამგზავრება დიდ ბრიტანეთში.

ბესო გაბოძე

ტრიუმფატორები



ფოტოები [illegible]

# წერილი რედაქციას!

**ბატონო რედაქტორო!**

მინდა გავაკეთო აუცილებელი განმარტება თქვენს გაზეთში (№91, 25-27. XI. 03 წ.) გამოქვეყნებული წერილის „ავტორთა გაუთავებელი დავის გამო" შესახებ.

პირველი: მე, როგორც მკითხველს, მაქვს უფლება შენიშვნა გამოვთქვა ამა თუ იმ გაზეთში განთავსებული რომელიმე უზუსტობის (მით უმეტეს უზუსტობების) გამო.

თქვენ გაქვთ უფლება დაბეჭდოთ ან არ დაბეჭდოთ. თუ დაბეჭდავთ, ამით მკითხველთა მეტ რაოდენობას მოიზიდავთ. თუ არ დაბეჭდავთ, არაფერი შეიცვლება.

მეორე: მე მწყინს, როგორც მკითხველს და სპორტის (ამჟერად ფეხბურთის) გულშემატკივარს, როცა ცრუ ინფორმაციებს მაწოდებენ.

თქვენ შეგიძლიათ დამეთანხმოთ, შეგიძლიათ არ დამეთანხმოთ.

მესამე: მე 1980 წლის 8-13 ივლისს, 22-ე ოლიმპიური თამაშების დაწყების წინა პერიოდში, ნამდვილად ვიყავი მოსკოვში სამსახურებრივი მივლინებით. ქუთაისის საქალაქო არქივიდან ახლახან ამოღებული ბრძანების ამონაწერი №196, ამის უტყუარი დამადასტურებელია. აგრეთვე დავესწარი სასტუმრო „ნაციონალში" პრესკონფერენციას. ეს სრული ჭეშმარიტებაა — ეს ჩემი ღირსების საქმეა.

ამიტომ, აღნიშნული განმარტების გამოუქვეყნებლობის უფლება თქვენ არა გაქვთ.

ეს აუცილებლად უნდა დაბეჭდოთ.

პატივისცემით, **ნუგზარ მჭედლიშვილი.**

***რედაქციისაგან:*** **არ იფიქროთ, რომ ავტორის მუქარამ გვაიძულა ქუთაისიდან მიღებული ბარათის სრულად და უცვლელად გამოქვეყნება. იძულებით შეგვეძლო მაშინ დაგვებეჭდა, თუკი ამას სასამართლო დაგვაკისრებდა. ეს ჩვენც კარგად ვიცით და, არა გვგონია, უცხო იყოს ავტორისთვისაც. რაც შეეხება „ცრუ ინფორმაციებს". კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, რომ ერთმანეთში მოდავე ავტორები ერთსა და იმავე ფაქტთან დაკავშირებით სხვადასხვა წყაროს ეყრდნობიან და მერე ერთმანეთს დებენ ბრალს სიცრუეში...**

**ახლა მოსკოვში ყბადაღებული მივლინების შესახებ 22-ე ოლიმპიურ თამაშებზე. ბატონი ნუგზარი ზემოთ მოტანილ წერილში კიდევ ერთხელ ამტკიცებს, „ნამდვილად ვიყავი მოსკოვში სამსახურებრივი მივლინებით"-ო, ქუთაისის არქივიდან ბრძანების ამონაწერიც აუდია — „ამის უტყუარი დამადასტურებელი". ახლა უკვე რედაქცია იტოვებს უფლებას არ დაიჯეროს და ეჭვი შეიტანოს ასეთი დოკუმენტის არსებობაში, რაც, ცხადია, არაფერში გვჭირდება, მაგრამ, როგორც იტყვიან, პრინციპის საქმეა. განა რა საბუთია ისეთი ხსენებული ბრძანების ამონაწერი, რომ მისი ასლი რედაქციას, არადა, არ ელირსა? თუ თავად არ სჯერა ქუთაისელ ავტორს სხვისი, უსაბუთოდ მისი ჩვენ რატომ უნდა დავიჯეროთ?**

**აი ასე, ბატონო ნუგზარ! თქვენი არ იყოს, „ეს აუცილებლად უნდა წაიკითხოთ".**

50 წლის წინათ

# ფოტო – არქივიდან...

**ქ. კიევი. 1953 წელი. საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები გუნდი რომელიც მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის პირველობაზე მძლეოსნობაში (სპორტსმენები ამოცნობილია შეძლებისდაგვარად).**

**მარცხნიდან:** ეკ. ჯუგუროვა, სვეტლანა ოლადკო, ლამარა სესაძე, მაია კრაიუნიკოვა, გალინა გლუშჩენკო, ანა სუჩკოვა, ნატალია სუვერნიოვა, სვეტლანა შახოვა, გ. სოროკინი, ეკატერინა ბოაჯანი, მაისაშვილი, იასონ ბაქრაძე, კანდელაკი, გურამ გვინჩიძე, ილია ელოევი, ქართველიშვილი, ედუარდ ფილიევი, მუზაფერ მამუჭაძე, კოროსტილიოვი, კრული, თენგიზ მჭედლიშვილი, ჭიანურაშვილი, ლერი ანთაძე, რამაზაშვილი და დავით ეფრემაშვილი.

პირველობა მოიპოვეს: ლამარა სესაძემ ბირთვის კვრაში და ბადროს ტყორცნაში; ლერი ანთაძემ. 100 მ. რბენაში.



# მომცილდი, დაღლილობავ!

ჯანმრთელობის კუთხე



თუ ოფისში მუშაობთ, მჯდომარე სამუშაო გაქვთ და თანაც გონებრივად მაქსიმალურად დატვირთული ხართ, დაღლას გაცილებით მალე იგრძნობთ, ვიდრე სუფთა ჰაერზე ფიზიკურად მომუშავე ადამიანი.

გაითვალისწინეთ ჩვენი რჩევები და თქვენ საოცარ შედეგს მიაღწევთ:

1. მიანებეთ თავი რამდენიმე წუთით ფურცლებს და ყურადღების კონცენტრაცია შორეულ კედელზე გადაიტანეთ. ეცადეთ განსაზღვროთ გვერდითი მხედველობის არეში მოხვედრილი საგნები და მათი ფერი ისე, რომ არ უყუროთ პირდაპირ. შემდეგ სხვა მხარეს მიბრუნდით და იგივე გაიმეორეთ;

2. როცა ძალიან დაკავებული ხართ, ალბათ სადილობაც კი გავიწყდებათ. სპეციალისტები გთავაზობენ, მიირთვათ ხშირ-ხშირად და ცოტა-ცოტა. შუადღისას ძალიან ნუ დანაყრდებით, მუშაობაში ხელს შეგიშლით;

3. სხვათა შორის, აშკარა კავშირი არსებობს ხასიათსა და საკვებს შორის. თუ გინდათ, რომ შუადღეს მხნედ იყოთ, მიირთვით, მაგალითად, წიწილა თინუსის ნაჭერი, ან ავოკადოს სალათი, რომელიც ბევრ პროტეინს შეიცავს, ეს კი ყურადღების კონცენტრაციის შესანიშნავი საშუალებაა. თუ დაწყნარება გჭირდებათ, გასინჯეთ კარტოფილი ან მაკარონი, თუმცა, მათი მირთმევის შემდეგ შეიძლება დაღლილობა იგრძნოთ, ამიტომ მაინც მოერიდეთ მის მიღებას სამსახურის საათებში.

4. თუ ზომაზე მეტად გადაილალეთ, რამდენიმე წუთის განმავლობაში თქვენი მზერა შეაჩერეთ ცისფერ და მწვანე ფერებზე. დაგამშვიდებთ, — თუ წითელი, ყვითელი და ნარინჯისფერი ზრდის სისხლის წნევას, ცისფერი და მწვანე დაბლა სწევს მას.

5. აუცილებლად იქონიეთ სამუშაო ოთახებში ყვავილები — მცენარეები სტრესს ამცირებს. სხვათა შორის, დადებითად მოქმედებს სუნამოც.

# ფეხბურთი რასიზმის გარეშე

UNITE AGAINST RACISM



ვემხრობით არჩევნების ჩატარებას, ბოიკოტს - არა!

## ტკბილ-მწარე ვარიაციები ჩემპიონატის თემაზე

პირველი გვერდიდან

ათას შეურაცხყოფას ითმენს, თუმცა უეჭველია, ხშირ შემთხვევაში თავის პროფესიულ მოვალეობას პირნათლად და საკმაოდ მაღალ დონეზე ასრულებს. ქართულ ფეხბურთში საკეთებელი, გამოსასწორებელი ბევრია. რაც ყოველდღიურ, უწყვეტ მუშაობას მოითხოვს, იმისათვის, რომ ჩვენი ფეხბურთის ღირსეულ წარსულს, ღირსეული აწმყო და მომავალი ჰქონდეს. გარკვეულწილად წინსვლა იგრძნობა, მაგრამ განვითარების პროცესი ნელა და აუჩქარებლად მიმდინარეობს.

წლევანდელი ჩემპიონატის დამახასიათებელი ისაა, რომ მედლებისთვის მებრძოლ ექვსეულში ფინანსურად და სპორტულად ფეხზე მყარად მდგომმა გუნდებმა მოიყარეს თავი. სეზონის დასაწყისში გარკვეული კრიზისი და ერთგვარი ამბოხის რეციდივები დასძლია შემოდგომის ჩემპიონმა თბილისის „დინამომ". კლუბის მესვეურნი და მთავარი მწვრთნელი მომავალს ოპტიმიზმით უყურებენ. გუნდს მოსამზადებელი ეტაპიც დალაგებული აქვს. დსთ-ს თასი, კვიპროსის საწვრნელი შეკრება, ცვლილებები და სიახლეები შემადგენლობაში აი, ის, რითაც „დინამო" სეზონის განახლებას უნდა შეხვდეს. სულ შემართული და წინსვლის მოსურნეა ფარმაცევტულ — ვეტერინარული „ვიტ ჯორჯია". ადგილობრივი ხელისუფლების შეწევნით ფეხზე დგანან და საკმაოდ გამართულ ფეხბურთს თამაშობენ „დილა" და „სიონი", განსაკუთრებით, ეს ბოლნისელებზე ითქმის. ჩემპიონატის ნამდვილი აღმოჩენაა ახალგაზრდა მწვრთნელის მიერ დამოძღვრილი ახალგაზრდული „თბილისი". იმედია, პოლიტიკურ ქარტეხილებს გადაურჩება „ლოკომოტივი" და თბილისურ გუნდს ძლიერი და გამრჯე პატრონი ეყოლება.

სამწუხარო რეალობაა ის, რომ წლეულს, მხოლოდ ლიგაში დარჩენაზე იზრუნებენ კლუბები, რომლებიც ერთ დროს ქუხდნენ ეროვნულ სარბიელზე და ჩემპიონატისა თუ თასის გათამაშების არაერთი ჯილდო დაუმსახურებიათ. კრიზისია ფოთში, ქუთაისში და ბათუმში ქალაქებში, სადაც არაერთი ჩინებული ფეხბურთელის აკვანი დარწეულა. შექმნილი ვითარებიდან გამოსავალი არის. ეს კლუბების ფინანსურად მომძლავრება და მწვრთნელთა და მოთამაშეთა სტაბილური შემადგენლობის შერჩევაა. „კოლხეთსაც", „ტორპედოსაც" და ბათუმის „დინამოსაც" მეტი ყურადღება და თანადგომა ესაჭიროებათ და სამივე გუნდი დღევანდელ კრიზისს გაუმკლავდება და დასძლევს. ამის პოტენცია მათ გააჩნიათ.

რაც შეეხება, პირველი ლიგიდან უმაღლესში აღზევებულ სამეულს, ოზურგეთის „მერცხალს", თბილისის „სპარტაკს" და „მცხეთას", მათაც ზემოთ ნახსენები ძველი გრანდებისთვის დამახასიათებელი სატკივარი აწუხებთ, რასაც უფრო მაღალ ეშელონში თამაშის გამოუცდელობაც ერთვის და, როგორც ჩანს, ყოფილ აბიტურიენტებს უმაღლესში სწავლა სეზონის ბოლომდე გაუჭირდებათ.

ერთობ სახალისო სიტუაცია შექმნა იმან, რომ ზედა ექვსეულში მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს გუნდებმა შეაღწიეს, დასავლეთ საქართველოს წარმომადგენლები კი ქვედა ექვსეულში მოგროვდნენ.

ორიოდე თვე დავისვენოთ, კლუბებმაც და გულშემატკივრებმაც ძალები მოვიკრიბოთ და თებერვალ-მარტიც მალე დადგება.

საბა ლომინაძე.

საქართველოს XV ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა

დღეს, 12 დეკემბერს, 12 საათზე სფფ-ს სააქტო დარბაზში კენჭისყრის ორი ცერემონიალი გაიმართება. დაწყვილდებიან ეროვნული თასის გათამაშების 1/32-ედ ფინალის მონაწილენი და მეორე — ლოტოტრონიდან ამოღებული ნომრების მიხედვით დაინომრება უმაღლესი ლიგის თორმეტივე გუნდი და ზედა და ქვედა ექვსეულების კალენდარიც შედგება.

დღეს, ქართული ფეხბურთის კიდევ ერთ სიახლეს ჩაეყრება საფუძველი. მსოფლიოს სტადიონებზე რასიზმთან ბრძოლის ეგიდით, თავის პირველ მატჩს გამართავს საქართველოს კლუბების ნაკრები, რომელმაც პირველი წვრთნა გუშინ „ლოკომოტივის" სტადიონზე გაიარა. ვაჟა ჟვანიას თაოსნობით ჩამოყალიბებული ნაკრების მეტოქე ჩვენში მოთამაშე ლეგიონერების ნაკრები იქნება. მატჩი „ლოკომოტივის" სტადიონზე 14 საათზე დაიწყება.



სურათზე: კლუბების ნაკრების დებიუტანტი მწვრთნელი ვაჟა ჟვანია.



ფოტო ელდარ მალხაზიშვილისა

ქვეყანაში პოლიტიკურ ძვრებს გამოეხმაურნენ ვეტერანი ფეხბურთელები. გუშინწინ, ვეტერან ფეხბურთელთა კავშირში ქართული ფეხბურთის დიდმა წარსულმა პოლიტიკურ სიახლეებს, ქვეყნის მმართველობაში მოსულ ახალ ძალას თანადგომა გამოუცხადა.

ცნობილი ვეტერანი ფეხბურთელები მიხეილ ჯოჯუა, ვოვა ელოშვილი, მურთაზ ხურცილავა, გელა კეტაშვილი, სერგო კოტრიკაძე, ილია დათუნაშვილი, ოთარ გაბელია, სერგო კუტივაძე, გოჩა მაჩაიძე თავიანთ გამოსვლებში იმედიან განწყობაზე და ქვეყნის წინსვლის პერსპექტივებზე ლაპარაკობდნენ. ყველამ მხარი დაუჭირა საპრეზიდენტო არჩევნებს, აღნიშნა მისი აუცილებლობა საქართველოს მომავლისთვის.

### სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე

## ისევ გორი და სტადიონის პრობლემები

ბოლო ხანია, სადისციპლინო კომიტეტის სხდომას ისე არ ჩაუვლია, განსახილველი საკითხი გორს რომ არ შეხებოდა. ახლაც, გუშინწინდელ სხდომაზეც გორში მომხდარი უპასუხისმგებლობის ფაქტი და ინციდენტი განიხილეს. ადგილობრივი გუნდის „დილასა" და თბილისის „დინამოს" მატჩისშემდგომი პრესკონფერენცია არ გამართულა, მიზეზი სტადიონზე არსებული გაუსაძლისი პირობები და საპრესკონფერენციო დარბაზის უქონლობაა. სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებით, გორის სტადიონისა და კლუბის ხელმძღვანელები გააფრთხილეს, რაიონის ახალ მესვეურთ სთხოვეს ყურადღება მიაქციონ კლუბს და ერთობლივი ძალებით ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპის მატჩებისას უზრუნველყონ წესრიგი და მატჩისშემდგომი პრესკონფერენციებისთვის გამოყონ დარბაზი და მოაწესრიგონ იქაურობა.

ამავე მატჩში, მაყურებელთა უზრდელობას ემსხვერპლა დინამოელი ლადო ბურდული, რომელმაც ნერვები ვერ მოთოკა და მაყურებლების გინებას გინებითვე უპასუხა. მსაჯმა ფეხბურთელი მინდვრიდან გააძევა. სადისციპლინო კომიტეტმა ბურდულს ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია აკმარა.

შვიდწუთიანი დაგვიანებით დაიწყო პირველი ეტაპის ბოლო ტურის მატჩი თბილისში, „ლოკომოტივსა" და „თბილისს" შორის. გუნდებმა მინდორზე გასვლა ორი წუთით დაიგვიანეს, მათ გამოჩენას მაყურებლები ანთებული მაშხალების სროლით შეეგებნენ, რამაც მატჩი კიდევ ხუთი წუთით შეაფერხა. უწესრიგობას, სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებით ორივე გუნდის ბიუჯეტი შეეწირა. მასპინძელიც და სტუმარიც 1000-1000 ლარით დაჯარიმდნენ.

ოზურგეთში, „მერცხალისა" და „ლოკომოტივის" მატჩის მიწურულს მინდორზე შეცვივდნენ მაყურებლები. ვინაიდან სტადიონზე წესრიგი ვერ უზრუნველჰყვეს, ოზურგეთელები 250 ლარით დააჯარიმეს.

რამდენიმე საკითხი ინდივიდუალურ დარღვევებს, ფეხბურთელთა უწესობას ეხებოდა. პირველი ლიგის გუნდების, მცხეთის „ვიტჯორჯიასა" და „ჩიხურას" მატჩისას ერთმანეთში წაკამათდნენ ვიტელი თემურ სამსიანი და საჩხერელი კოტე გუგუნავა. კამათი ხელჩართულ ჩხუბში გადავიდა. მინდვრიდან გაძევებულმა ფეხბურთელებმა კინკლაობა გასახდელშიც გააგრძელეს. საბედნიეროდ, გუნდების თავკაცთა ჩარევით ვითარება განიმუხტა, თუმცა ფეხბურთელებს სასჯელი ვერ ასცდათ – ორივე 2-2 მატჩს გამოტოვებს.

„თბილისი" – „ვიტჯორჯიას" მატჩისას ე.წ. „ტექნიკური ზონა" დაარღვია ვიტელთა მწვრთნელმა მერაბ კოჭლაშვილმა, იგი ერთი მატჩითაა დისკვალიფიცირებული.

ჭაბუკთა ლიგის შეხვედრაში ერთმანეთში იჩხუბეს მცხეთელმა ლაშა წიკლაურმა და სპარტაკელმა თორნიკე იმნაიშვილმა, ორივენი 2-2 მატჩს გამოტოვებენ. ორი მატჩითაა დისკვალიფიცირებული მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის ბოლნისელი გელა ფანჩულიძე. ანალოგიური საქციელისთვის სამი მატჩითაა დასჯილი ტორპედოელი ანდრეი პოროშინი.

### მოგონება

## პაპა კარლოს ხუმრობა

კარლო ყრუაშვილს, რევოლუციამდელი რუსეთის ჯარში ნამსახურები, მრავალი ჩინ-მედლების კავალერი გამზრდელი ბაბუა გარდაეცალა. ჩვენ მისი მეგობრები გვერდში ამოვუდექით და რითაც შეგვეძლო ვეხმარებოდით. მე და ილია ბოჭორაძემ მიცვალებულის ბალზამირებისათვის „არამიანციდან" ექიმი მოვიყვანეთ. ექიმმა თავის საქმე რომ მოამთავრა, კარლომ მეორე ოთახში შეიყვანა და უძრავად მწოლიარე დაუძლურებულ ბებიასაკენ თითით მიანიშნა, თან სერიოზული ტონით მიმართა — ბარემ ამასაც გაუკეთეო. ექიმმა წარბები მაღლა აიპრიხა„ — „ვაჰ ესეთი რამის მომსწრე არ ვარო" ჩაილაპარაკა და მოხუცისკენ საქმიანად გაეშურა. ხელის შეხებისთანავე მოხუცმა თვალები გაახილა და სამედიცინო ინსტრუმენტების დანახვაზე, შემკრთალმა, ხელები გაასავსავა. გულგახეთქილი „ბალზამიროვშჩიკი" უკან მოსხლეტილი გადავარდა.

რაც მაშინ იქ მოხდა, იმის გადმოცემა სიტყვიერად შეუძლებელია.

ელდარ ჩიფჩიური

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

Coca-Cola

გენერალური სპონსორი

## უმაღლესი ლიგა

II ეტაპის წინ

I-VI ადგილებისათვის

| | ქ |
|---|---|
| დინამო (თბ) | 25 |
| ვიტჯორჯია | 21 |
| სიონი | 20 |
| თბილისი | 18 |
| ლოკომოტივი | 17 |
| დილა | 17 |

VII-XII ადგილებისათვის

| | |
|---|---|
| ტორპედო | 17 |
| დინამო (ბთ) | 16 |
| კოლხეთი1913 | 12 |
| მცხეთა | 10 |
| სპარტაკი | 8 |
| მერცხალი | 5 |

**ბომბარდირები**

გონჩაროვი (სიონი) — 15

გოცირიძე (ვიტ ჯორჯია) — 14

დავითაშვილი (თბილისი) — 13

**რეგიონული ლიგა**

**აღმოსავლეთის ზონა**

**გადატანილი მატჩები**

სიონი (თბ) — ავაზა 0-3

კრწანისი — ჰერეთი 1-2

თბილისი — კრწანისი 2-3

კრწანისი — სიონი (თბ) 3-0

იბერია — კრწანისი 1-11

კრწანისი — ავაზა (13.XII)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კახეთი | 14 | 11 | 2 | 1 | 36-10 | 35 |
| სიონი2(ბოლ) | 14 | 9 | 3 | 2 | 28-8 | 30 |
| ლოკომ 3 | 14 | 9 | 3 | 2 | 24-10 | 30 |
| კრწანისი | 13 | 9 | 1 | 3 | 36-17 | 28 |
| ცხუმი | 14 | 7 | 3 | 4 | 29-16 | 24 |
| დინამო(სოხ) | 14 | 7 | 2 | 5 | 30-17 | 23 |
| ნორჩ.დინ. | 14 | 6 | 4 | 4 | 24-15 | 22 |
| ავაზა | 13 | 6 | 2 | 5 | 13-11 | 20 |
| თ.ს. აკადემია | 14 | 5 | 4 | 5 | 20-14 | 19 |
| თბილისი | 14 | 4 | 2 | 8 | 22-27 | 14 |
| ნორჩ დინ2 | 14 | 4 | 2 | 8 | 15-22 | 14 |
| ჰერეთი | 14 | 3 | 5 | 6 | 8-11 | 14 |
| ერთობა | 14 | 3 | 1 | 10 | 19-30 | 10 |
| სიონი (თბ) | 14 | 2 | 2 | 10 | 12-42 | 8 |
| იბერია | 14 | 1 | 0 | 13 | 5-48 | 3 |

**დასავლეთის ზონა პირველი წრის შემდეგ**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალაროელი | 15 | 9 | 5 | 1 | 39-11 | 32 |
| სტაბი | 15 | 9 | 4 | 2 | 22-7 | 31 |
| კოლხეთი (ხ) | 15 | 9 | 1 | 5 | 21-17 | 28 |
| დინამო (ზ) | 15 | 8 | 3 | 4 | 29-21 | 27 |
| სქური | 15 | 8 | 3 | 4 | 28-17 | 27 |
| მეშახტე | 15 | 7 | 5 | 3 | 20-15 | 26 |
| რაჭა | 15 | 6 | 6 | 3 | 28-23 | 24 |
| ოლიმპიკი | 15 | 6 | 5 | 4 | 18-9 | 23 |
| სალხინო | 15 | 7 | 1 | 7 | 16-22 | 22 |
| ტორპედო2 | 15 | 6 | 2 | 7 | 17-21 | 20 |
| დინამო2(ბთ) | 15 | 4 | 5 | 6 | 11-15 | 17 |
| იმედი | 15 | 4 | 3 | 8 | 12-21 | 15 |
| სულორი | 15 | 4 | 1 | 10 | 20-24 | 13 |
| დინამო (ქ) | 15 | 2 | 5 | 8 | 19-31 | 11 |
| ეგრისი | 15 | 3 | 0 | 12 | 12-45 | 9 |
| კოლხეთი2 | 15 | 2 | 3 | 10 | 16-30 | 9 |

## ჭაბუკთა ლიგა

*პირველი წრის შემდეგ 1987-88 წწ.*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 11 | 10 | 1 | 0 | 38-3 | 31 |
| ტორპედო | 11 | 8 | 1 | 2 | 22-13 | 25 |
| დინამო (თბ) | 11 | 7 | 2 | 2 | 22-7 | 23 |
| მერცხალი | 11 | 6 | 1 | 4 | 18-22 | 19 |
| ლოკომოტივი | 11 | 5 | 3 | 3 | 14-9 | 18 |
| სპარტაკი | 11 | 3 | 4 | 4 | 13-14 | 13 |
| დილა | 11 | 3 | 3 | 5 | 17-18 | 12 |
| მცხეთა | 11 | 4 | 0 | 7 | 15-19 | 12 |
| კოლხეთი1913 | 11 | 3 | 2 | 6 | 12-23 | 11 |
| თბილისი | 10 | 3 | 1 | 6 | 12-18 | 10 |
| დინამო (ბთ) | 10 | 2 | 3 | 5 | 7-12 | 9 |
| სიონი | 11 | 0 | 1 | 10 | 5-37 | 1 |

*პირველი წრის შემდეგ 89-90 წწ*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო (თბ) | 11 | 9 | 0 | 2 | 35:4 | 27 |
| ტორპედო | 11 | 7 | 2 | 2 | 24:7 | 23 |
| დინამო (ბთ) | 10 | 7 | 0 | 3 | 26:18 | 21 |
| თბილისი | 10 | 6 | 1 | 3 | 20:11 | 19 |
| ვიტ.ჯორჯია | 11 | 5 | 3 | 3 | 26:10 | 18 |
| მცხეთა | 11 | 5 | 2 | 4 | 18:13 | 17 |
| სპარტაკი | 11 | 4 | 2 | 5 | 28:14 | 14 |
| დილა | 11 | 4 | 2 | 5 | 19-21 | 14 |
| კოლხეთი1913 | 11 | 3 | 4 | 4 | 18:10 | 13 |
| სიონი | 11 | 3 | 0 | 8 | 7-42 | 9 |
| ლოკომოტივი | 11 | 2 | 1 | 8 | 9:26 | 7 |
| მერცხალი | 11 | 1 | 1 | 9 | 6-60 | 4 |

**საქართველოში რასიზმი არ ყოფილა და არც არასოდეს გამოვლინდება!**

# შეითვალეთ ანგარიშში...

თითქმის ორი წელია, რაც თბილისის „დინამო" ჩვეულ ტრადიციას არ ღალატობს და პირველი ეტაპის შემდეგ, გუნდის მესვეურები და მთავარი მწვრთნელი, დილმის საწვრთნელ ბაზაზე მასმედიისათვის პრესკონფერენციას მართავენ. სამშაბათს, 9 დეკემბერს „დინამოს" ბაზაზე, გუნდის მმართველი დირექტორი დავით პეტრიაშვილი, მთავარი მწვრთნელი ივო შუშაკი, სპორტული და ტექნიკური დირექტორები გივი ნოდია და კახა ჰუმბურიძე წარსდგნენ ჟურნალისტების წინაშე. პრესკონფერენციას, ასევე ტრადიციულად, „დინამოს" პრესატაშე ლევან სალუქვაძე გაუძღვა. დავით პეტრიაშვილმა, პირველ რიგში მადლობა გადაუხადა პრესის წარმომადგენლებს და იქვე დასძინა: „ისეთი გუნდი, როგორიც „დინამოა", ვალდებულია გულშემატკივრებსა და მასმედიას ანგარიში ჩააბაროს. გპირდებით, რომ ასეთი შემაჯამებელი შეხვედრებით ტრადიციას შევინარჩუნებთ". შემდეგ მან სიტყვა ივო შუშაკს გადასცა და პირველი ეტაპის შეფასება სთხოვა.



**ივო შუშაკი:** „დიდი მადლობა მინდა ყველას გადაგიხადოთ აქ მობრძანებისათვის. ძალიან მიხარია, რომ „დინამოს" ამბები აქტუალურია, ეს მეტყველებს იმაზეც, რომ თქვენ ყველანი მუდამ ესწრებოდით ჩვენს თამაშებს. სეზონის დაწყებამდე ჩვენ ორი მიზანი გვქონდა: შეგვენარჩუნებინა შარშანდელი შედეგი და, რაც შეიძლება დიდხანს გაგვეგრძელებინა ასპარეზობა ევროთასებზე. ძალიან ცუდია, რომ მეორე ამოცანის გადაჭრა ვერ შევძელით. პირველი თამაში კარგად კი ჩავატარეთ, მაგრამ ევროპას მაინც ადრე დავემშვიდობეთ... რა თქმა უნდა, „ტირანასთან" მარცხს ვგულისხმობ. ჩემპიონატს რაც შეეხება, პირველობის სტარტი კარგად დავიწყეთ, მაგრამ შემდეგ იყო რამდენიმე სუსტი შეხვედრა. მიუხედავად ამისა, სტაბილურობა, ჩვენი სტილი შევინარჩუნეთ და გამარჯვებათა მთელი სერია ჩავატარეთ, პირველი ეტაპიც კარგად დავასრულეთ. მართალია კლუბში გარკვეული პრობლემები შეიქმნა, მაგრამ მდგომარეობიდან გამოსვლა მაინც მოვახერხეთ. მჯერა, რომ გაზაფხულზე შეკრული და ძლიერი გუნდი წარსდგება თქვენს წინაშე. ჩემი მხრიდან პატიოსანი საქციელი არ იქნება, დიდი მადლობა რომ არ გადავუხადო „დინამოს" ხელმძღვანელობას და გუნდის სპონსორს ბატონ ბადრი პატარკაციშვილს".

**დავით პეტრიაშვილი:** „სეზონი მართლაც წარუმატებლად დავიწყეთ — ჩემპიონთა ლიგაში კრახი განვიცადეთ. ცხადია, ამ მდგომარეობიდან გამოსვლა არც ისე იოლი იყო. ჩემპიონატის სტარტი დამაჯერებელი გვქონდა და პირველი ეტაპიც ასევე დავასრულეთ. მადლობა მინდა გადავუხადო ბატონ ივოს და ფეხბურთელებს, რადგან ისინი ღირსეულად შეხვდნენ პრობლემებს და ჩვენთან ერთად გადაიტანეს გუნდში არსებული სიძნელეები. მმართველმა დირექტორმა ასევე ისაუბრა „დინამო 2"-ზე და საფეხბურთო აკადემია „დინამოს" ჩამოყალიბების შესახებ. იგი თვლის, რომ სამომავლოდ ყველაფერი გამოსწორდება და აკადემია დიდი მიზნების მიღწევას შეუწყობს ხელს.

მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტიც, რომ კლუბმა, ქართული ფეხბურთის ისტორიაში პირველად, კონტრაქტი გააფორმა სპონსორთან, აგრეთვე დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ბატონ ბადრის, რომელიც კრიზისულ სიტუაციაში ყველაფერს გაგვიიო მოეკიდა, კლიმატი გამოასწორა და ამ შედეგის მიღწევაში დაგვეხმარა" — დასძინა მან.

საუბარი იყო აგრეთვე გუნდში მოსალოდნელ ცვლილებებზე. ამ საკითხზე ბატონმა აღმასრულებელმა დირექტორმა შემდეგი განაცხადა: „ნებისმიერ კლუბში ისევე როგორც „დინამოში", როტაციული პროცესები უნდა მიმდინარეობდეს. წარმოუდგენელია, ფეხბურთელი სამი წელი ერთ კლუბში იყოს და წასვლა არ უნდოდეს. გუნდს აუცილებლად დატოვებს რამდენიმე ფეხბურთელი, რაც შეეხება მათ შემცვლელებს, ჩვენი თვალთახედვის არეალში მოხვდა ადგილობრივ და უცხოურ კლუბებში რამდენიმე მოთამაშე. არ არის გამორიცხული, რომ გუნდში გარკვეული პროცესების შევსება ლეგიონერებითაც მოხდეს. მთავარმა მწვრთნელმაც ისაუბრა სამომავლო ცვლილებებზე: „სამწუხაროდ, „დინამოს" სამ ფეხბურთელს — ალექსიძეს, ხიზანეიშვილსა და დარასელიას კონტრაქტი დაუმთავრდათ. ხიზანეიშვილი, როგორც იცით, ჩვენთან იჯარით იმყოფებოდა და ამჟამად მოსკოვის „დინამოში", თავის გუნდში ვარჯიშობს. რაც შეეხება დარასელიას და ალექსიძეს, შემოთავაზებები აქვთ, მაგრამ მათი საკითხი ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის".

ბატონმა ივომ სხვა დინამოელთა სავარაუდო ტრანსფერების განხორციელებაზეც გააკეთა კომენტარი: „თუ იქნება ისეთი შემოთავაზება, რომელიც ერთდროულად ფეხბურთელსაც და კლუბსაც დააკმაყოფილებს, მოთამაშეს უპრობლემოდ შეველევით. თუ ისინი წავლენ, უკვე გვაქვს იმ ფეხბურთელთა სია, რომლებიც მათ შეცვლიან. ყოველ შემთხვევაში, შევეცდებით მეორე ეტაზე უფრო ძლიერები ვიყოთ, ვიდრე ახლა ვართ".

თერთმეტგზის ჩემპიონებს იანვრის შუა რიცხვებში „თანამეგობრობის თასზე" უწევთ ასპარეზობა, რომელიც მოსკოვში გაიმართება. „შევეცდებით მოსკოვიდან რაც შეიძლება გვიან დავბრუნდეთ, ანუ 28 იანვარს, 27-ში ხომ ფინალია. „დინამოს" უკვე სამი წელია ამ ასპარეზობაში არ მიუღია მონაწილეობა, მიზანი კვლავაც მაქსიმალური შედეგის მიღწევა იქნება. შეიძლება ითქვას, რომ დსთ-ს ტურნირი მოსამზადებელი პერიოდი იქნება ჩვენი გუნდისთვის. მოგეხსენებათ, ფეხბურთელებს მასზე გამოსვლა შვებულების შემდეგ უწევთ, ასე რომ, ჩვენს შეფასებებში კატეგორიული არ ვიქნებით" — განაცხადა დავით პეტრიაშვილმა.

ისაუბრეს ასევე პროფესიული ფეხბურთის ლიგის, „დინამოს" სტადიონისა და „ბენდელას" ტურნირის შესახებ. როგორც ამ ტურნირების მონაწილე, თბილისური კლუბი მის საორგანიზაციო საკითხებშიც მიიღებს მონაწილეობას. „მართალია „დინამოს" საკუთარი მოედანი არ გააჩნია, მაგრამ ვიმედოვნებ, ეს პრობლემაც საბოლოოდ მოგვარდება."

დასასრულ ცნობილმა მხატვარმა ედუარდ ამბოკაძემ „დინამოს" მთავარ მწვრთნელს ივო შუშაკს, მის მიერ შესრულებული ტილო გამოუგზავნა საჩუქრად, რომელიც ადრესატს ლევან სალუქვაძემ გადასცა.

ლ. ჭანკოტაძე.

# „ნორჩი დინამოელი" 50 წლისაა

იუბილე ყოველთვის ამაღლებულ განწყობას უკავშირდება. თბილისის საფეხბურთო სკოლა „ნორჩ დინამოელში" თაობები აღიზარდნენ ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე და ეს სასწავლებელი თითოეული მათგანის ცხოვრების ბიოგრაფიის ნაწილად იქცა — ბევრმა ფეხბურთში გაითქვა სახელი, ზოგმა სპორტის სხვა სახეობაში, ზოგმაც ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში. დღეს ეს სკოლა მისი დამაარსებლის, თბილისის „დინამოს" უფროსი თაობის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენლის, სპორტის დამსახურებული ოსტატის გრიგოლ გაგუას სახელს ატარებს.



1969 წელი. „ნორჩი დინამოელის" 1954-წლიანთა გუნდი თბილისის ჩემპიონია. მარცხნიდან: I რიგში — ნოდარ ხოხაშვილი, ზაზა კახაძე, ოთარ გორდაძე, ზურაბ ქურთიშვილი, რამაზ ზაალიშვილი, მიხეილ ბახტაძე,; II რიგში — ჯემალ გაბისონია, ომარ უშვერიძე (ორივე — მწვრთნელი), ფრიდონ არეშევი, რეზი ხიჩინაშვილი, თამაზ ხარაძე, ვალერი ნადირაძე, პალიკო კასრაძე, ვალერი მაიზენჩუკი, როსტომ ნატროშვილი, გრიგოლ გაგუა (სკოლის დირექტორი).

იუბილარი სკოლის წარსულსა და აწმყოზე გვესაუბრება ამავე სკოლის ერთ-ერთი ვეტერანი მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი, ღირსების ორდენოსანი **ჯემალ გაბისონია**.

— 1951 წელს „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს გადაწყვეტილებით „დინამოს" სტადიონზე ჯერ ბავშვთა ფეხბურთის სექცია გაიხსნა. ორი წლის შემდეგ კი იგი „ნორჩი დინამოელის" საფეხბურთო სკოლად გადაკეთდა, რომელსაც სათავეში გრიგოლ გაგუა ჩაუდგა. შემდგომში მან სკოლის ლეგენდარული დირექტორის სახელი დაიმკვიდრა. მწვრთნელებად მანვე მოიწვია ვეტერანი ფეხბურთელები თენგიზ სისორდია, ვიქტორ პანიუკოვი, ვიქტორ ბერეჟნოი, შემდეგში ვლადიმერ მარღანია, ავთანდილ ვარდიაშვილი, ასატურ გუკასიანი.

პირველ ნაკადში სულ 40 მოზარდი ჩაირიცხა. მათ შორის იყვნენ შემდგომში ცნობილი ფეხბურთელები თენგიზ მელაშვილი, გურამ გომელაური, რობერტ ჭანჭალეიშვილი, ედუარდ თორაძე, ნოდარ დოლიძე, ზურაბ მაჭარაშვილი, ოთარ უნგიაძე, რობერტ და ნომალ მაისურაძეები, ჯუმბერ თათარაშვილი, მერაბ იაშვილი, ამირან წოწელია, სულიკო გაგუა, აჩიკო ბითაძე, თემურ ფარჯანაძე, რამაზ და ოთარ პაიჭაძეები. რიგის დაუგავაში მოთამაშე ვასილი სევასტიანოვი, ანზორ კავაზაშვილი, იგორ ფროლოვი, სერგო აპრესიანი, ძმები ივანოვები, მამული იაშვილი, თემურ კოზაევი და სხვ. მათგან უმეტესობის მწვრთნელი პირადად იყო გრიგოლ გაგუა.

თავის დროზე ამ სკოლის აღსაზრდელები იყვნენ მსოფლიო მრავალგზის და ოლიმპიური ჩემპიონი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში რომან რურუა, ცნობილი წყალბურთელი დათო რურუა, აკადემიკოსები ოთარ კვესიტაძე და ოთარ დოლიძე.

განსაკუთრებით მინდა გამოვყო ამ სკოლის აღზრდილი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ნოდარ ახალკაცი, რომელმაც ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა ქართული ფეხბურთის აღმავლობაში. „ნორჩი დინამოელის" სკოლის პირველი პლეადა გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის 1953 და 1957 წლებში.

გადიოდა წლები. ფეხბურთის პოპულარობის ზრდის პარალელურად იზრდებოდა და ფართოვდებოდა „ნორჩ დინამოელის" სკოლა. მოვიდა მწვრთნელთა ახალი თაობაც — ომარ უშვერიძე და ჯემალ გაბისონია, რომლებიც საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები გახდნენ. გახშირდა საკავშირო შეჯიბრებებში მონაწილეობა ასაკობრივ ჯგუფებში. ამ თაობიდან მოვიდა დიდ ფეხბურთში ოლიმპიური ჩემპიონი, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი გელა კეტაშვილი, დიდებული ფეხბურთელები კახი ასათიანი, ვოვა გუცაევი, დემიკო ჩლაიძე, რეზო ჭოხონელიძე, გიორგი ჭილაია, დავით მუჯირი, გოჩა ტყებუჩავა, ზაზა კახაძე და სხვ. რომლებმაც მაღალი სპორტული მიღწევებით გაამდიდრეს ქართული ფეხბურთის ისტორია.

მათი უმრავლესობა გრიგოლ გაგუას, ჯემალ გაბისონიას, ბორის სიჭინავას, ოთარ გეგეჭკორის აღზრდილები არიან. აი ისინიც: რეზო გაგუა, თენგიზ ჩარკვიანი, ვახტანგ კოპალეიშვილი, თამაზ კოსტავა ზორბეგ ებრალიძე, ფირუზ კანთელაძე, ძმები ვაჟა და ნუგზარ ჩიტაურები, რამაზ ურუშაძე და სხვა მრავალი. სკოლაში სწავლა დღეს ფასიანია, თანხა ხმარდება მწვრთნელებს და სტადიონის პერსონალის ხელფასს, ნიჭიერი აღსაზრდელები იღებენ სტიპენდიას, იძენენ ფორმას, ბურთებს, სხვა ინვენტარებს, ამ თანხას აგრეთვე იყენებენ შეჯიბრებებზე გასამგზავრებლად.

ამასთან, აქ კარგად ესმით, რომ ზოგიერთს არ შეუძლია თანხის გადახდა. ამიტომ, 60 ბავშვი განთავისუფლებულია გადასახადისაგან.

თავისი არსებობის 50-წლიანი ისტორიის მანძილზე სკოლას სულ მხოლოდ სამი დირექტორი ჰყავდა. გრიგოლ გაგუა ოთარ უშვერიძემ შეცვალა, ამჟამად კი სკოლას ოთარ გეგეჭკორი თავკაცობს.

ბოლო წლებში [illegible] კლასის გუნდებში გამოდიოდნენ სკოლის ახალი თაობის წარმომადგენლები, რომლებმაც 1979 და 1982 წლებში ჭაბუკთა შორის სსრ კავშირის პირველობები მოიგეს.

აქვე მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა ლეგიონერებზეც, რომლებსაც გზა „ნორჩმა დინამოელმა" დაულოცა დიდ ფეხბურთში. ესენი არიან: გიორგი ქინქლაძე, გიორგი ნემსაძე, ანდრო ნინიადისი (თამაშობს საბერძნეთის ნაკრებში და „პანათინაიკოსში")...

ამჟამად, „ნორჩ დინამოელში" ვარჯიშობს 850 აღსაზრდელი, რომლებთანაც მუშაობს 24 მწვრთნელი.

„ნორჩმა დინამოელმა" მეორე ნახევარსაუკუნოვანი ისტორიის ათვლა დაიწყო. კვლავაც წარმატებები ყოფილიყოს ამ სახელოვანი სკოლის თანამდევი.

ესაუბრა ც. ბაქრაძე.

# თქვენთვის, ფეხბურთის ერუდიტებო!

1. ფოტოზე აღბეჭდილია ჰოლანდიელი ფეხბურთელი. თამაშობდა კლუბებში: „რაუვენში", „ცვოლეში", „კამბურში", ვილემ-II-ში (ყველა – ჰოლანდია). ქვეყნის ნაკრებში (1999 წ) ითამაშა არგენტინის წინააღმდეგ. ჰოლანდიის ჩემპიონია 1999 წ. („ფეიენოორდი"). ვინაა იგი?



1

2. ფოტოზე აღბეჭდილია დანიელი ფეხბურთელი. თამაშობდა კლუბებში: „ბრონდბიუ" (დანია), „ჰამბურგში" (გერმანია), „არსენალში" (ინგლისი). ევროპის ჩემპიონია (1992 წ.). 1985, 1988, 1990, 1991, 1996, 1997, 1998 წ.წ. – დანიის ჩემპიონია. 1993 წელს დაეუფლა ინგლისის თასს. ვინაა იგი?



2

„ლელოს" 92-ე ნომერში გამოქვეყნებული შეკითხვების პასუხები:

1. სურათზე აღბექდილია იუგოსლავიელი ფეხბურთელი სინიშა მიხაილოვიჩი.
2. სურათზე აღბექდილია ფრანგი ფეხბურთელი მიქაელ სილვესტრი.

# ხრისტო სტოიჩკოვს „ბარსელონაში" ეპატიჟებიან

საფეხბურთო კლუბ „ბარსელონას" პრეზიდენტი ჟოან ლაპორტა კლუბის ტექნიკური დირექტორის თანამდებობაზე იწვევს ბულგარული ფეხბურთის ვარსკვლავს ხრისტო სტოიჩკოვს.

ესპანური საინფორმაციო წყაროების ცნობით, წლის ბოლომდე „ბარსელონაში" მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებები უნდა განხორციელდეს, – საქმე ის არის, რომ ლაპორტა უკმაყოფილოა გუნდის ბოლოდროინდელი თამაშით. ადვილი შესაძლებელია რომ „ბარსელონას" მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვოს ფრანკ რაიკაარდმა. ჯერჯერობით, უცნობია, თუ ვინ იქნება ახალი მთავარი მწვრთნელი.

# ანშო ბუნდესლიგაში ბრუნდება

არ არის გამორიცხული „ლივერპულის" შვეიცარიული მცველი სტეფან ანშო კვლავ დაბრუნდეს გერმანიის ბუნდესლიგაში, — მას იწვევს „შტუტგარტის" მთავარი მწვრთნელი ფელიქს მაგათი, რომელთანაც ანშოს ჯერ კიდევ „ჰამბურგში" ყოფნისას უთამაშია.

მაგათის განცხადებით, ის შეეცდება 29 წლის ანშოსთან კონტრაქტს ხელი ამ ზამთარსვე მოაწეროს.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## კიევური „ტორტი“ მოსკოვის „ლოკომოტივისათვის“

**დასრულდა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპი. გაირკვა იმ 16 გუნდის ვინაობა, რომლებიც გათამაშების მერვედფინალში ისპარეზებენ:**

ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში, **A ჯგუფში** ყველაფერი გუშინწინ გადაწყდა. „ლიონმა“ დაძაბულ ბრძოლაში 3-2 სძლია გლაზგოს „სელტიკს“. ფრანგები ორჯერ დაწინაურდნენ, თუმცა შოტლანდიელებმა ორჯერვე შეძლეს წონასწორობის აღდგენა. მატჩის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე კი „სელტიკის“ კარში დაინიშნა თერთმეტმეტრიანი, რომელიც ჟუნინიომ ზუსტად შეასრულა და „ლიონს“ გამარჯვება მოუტანა. ამ გუნდმა ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა. მეორე ადგილზე გავიდა მიუნხენის „ბაიერნი“, რომელმაც უმნიშვნელოვანეს ბრძოლაში მაკაის ერთადერთი გოლის წყალობით დაამარცხა ბელგიური „ანდერლეხტი“.

ასევე, ბოლო ტურში წყდებოდა მერვედფინალისტთა ვინაობა **B ჯგუფში.** ლონდონის „არსენალმა“, რომელმაც წლევანდელი ევროპული სტარტი ცუდად აიღო, საკუთარ მოედანზე წარმატების არავითარი შანსი არ დაუტოვა მოსკოვის „ლოკომოტივს“. უკვე მეთორმეტე წუთზე ანგარიში პირესმა გახსნა. მოსკოველებს მინიმუმ ფრეც აძლევდათ ხელს, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი მერვედფინალში გასვლა ჯგუფის სხვა შეხვედრაზე იყო დამოკიდებული. გაშვებული გოლის შემდეგ რკინიგზელები სიტუაციის გამოსწორებას შეეცადნენ. განსაკუთრებით გააქტიურდა შავკანიანი ლეხეტო, რომელსაც ტაიმის მიწურულს „ზედმეტი“ მოუვიდა და მსაჯმა „ლოკომოტივი“ ათი კაცის შემადგენლობით დატოვა.

მეორე ტაიმში ლიუნდბერგმა მეორედ აიღო სტუმართა კარი, „არსენალმა“ გაიმარჯვა 2-0 და ჯგუფში პირველ ადგილს დაეუფლა.

**გუნდების შემადგენლობა:**

**„არსენალი“:** ლემანი, ეშლი კოული, ვიეირა, პირესი, ლიუნდბერგი, ბერხკამპი (კანუ, 73), ანრი, სიგანი, ჟილბერტუ, კემპბელი, ტურე.

**„ლოკომოტივი“:** ოვჩინიკოვი, ლეხეტო, იგნაშევიჩი, მამინოვი, ლოსკოვი, პაშინინი, ბუზნიკინი (გურენკო, 46), ევსეევი, სენიკოვი, ხოხლოვი, აშვეთია (პარკსი, 46).

მეორე მატჩი კიევში ადგილობრივ „დინამოსა“ და მილანის „ინტერს“ შორის, რომელიმე მათგანის გამარჯვებით რომ დასრულებულიყო, სწორედ ის გუნდი გადიოდა შემდგომ ეტაპზე. მიზანთან ახლოს იყო „ინტერი“, რომელიც 68-ე წუთზე ადანის გოლით დაწინაურდა, მაგრამ უკრაინელმა ფეხბურთელებმა ბოლომდე იბრძოლეს და დიდებული საჩუქარი მიართვეს მიხეილ აშვეთიას მოსკოვის „ლოკომოტივს“, — 85-ე წუთზე რინკონმა ანგარიში გაათანაბრა — 1-1, რის შედეგადაც მეორე ადგილზე რკინიგზელები აღმოჩნდნენ.

**C ჯგუფში** „ეინდჰოვენმა“ მხოლოდ მსაჯის მიერ დამატებულ მეოთხე წუთზე შეძლო გამარჯვების მოპოვება „დეპორტივოსთან“ (3-2), მაგრამ საბოლოოდ მაინც მესამე ადგილზე დარჩა, მეორეზე კი ესპანელები გავიდნენ. ჯგუფის გამარჯვებული გახდა „მონაკო“, რომელმაც ფრედ (0-0) ითამაშა სტუმრად აეკ-თან.

**D ჯგუფში** „იუვენტუსმა“ შვიდი უპასუხო გოლი გაუტანა ბერძნულ „ოლიმპიაკოსს“, თუმცა, ეს მატჩი ალარაფერს წყვეტდა, — ტურინელებს ხომ ვადამდე ჰქონდათ განაღდებული მერვედფინალის საგზური.

„გალათასარაის“ მხოლოდ გამარჯვება ესაჭიროებოდა „სოსიედადთან“ სტუმრად გამართულ შეხვედრაში.

თურქი ფეხბურთელები პირველი ტაიმის შემდეგ იგებდნენ კიდეც (0-1), მაგრამ მეორე ნახევარში დე პაულამ მერვედფინალური ეტაპის საგზურის მოსაპოვებლად საჭირო ერთი ქულა მოუტანა „სოსიედადს“— 1-1.

**E ჯგუფში** შოთა არველაძისა და ზურაბ ხიზანიშვილის „რეინჯერსს“ ქულაც ჰყოფნიდა საკუთარ მოედანზე „პანათინაიკოსთან“ მატჩში, რათა ჯგუფში მესამე ადგილი მაინც დაეკავებინა, მაგრამ ბევრისთვის მოულოდნელად შოტლანდიურმა კლუბმა უფერულად ითამაშა და დამარცხდა — 1-3, რის შედეგადაც „რეინჯერსი“ უეფას თასზეც ვერ ისპარეზებს.

ამავე ჯგუფში, პირველი ადგილისათვის ბრძოლაში „მანჩესტერ იუნაიტედმა“ 2-0 დაამარცხა „შტუტგარტი“.

**F ჯგუფში** გამართული ორივე შეხვედრა, — როგორც „პარტიზანსა“ და „მარსელს“, ასევე „რეალსა“ და „პორტუს“ შორის ერთნაირი ანგარიშით (1-1) დასრულდა. აქ მერვედფინალისტთა ვინაობა ჯერ კიდევ წინა ტურში გახდა ცნობილი: ბრძოლას მთავარი ევროპული ჯილდოსთვის „რეალი“ და „პორტუ“ აგრძელებენ.

**G ჯგუფში** „ჩელსის“ სულაც არ სჭირდებოდა „ბეშიქთაშის“ დამარცხება, მაგრამ მაინც ორი უპასუხო გოლი გაუტანა მეტოქეს და ეს უკანასკნელი მერვედფინალის მიღმა დატოვა. მეორე ადგილი დაიკავა ჩეხეთის „სპარტამ“, რომელმაც მხოლოდ მატჩის უკანასკნელ წუთზე კინჩლის მიერ გატანილი გოლით (1-0) დაამარცხა „ლაციო“.

**H ჯგუფში** „მილანმა“ ვადამდე დაისაკუთრა პირველი ადგილი. ამიტომ მისთვის ბოლო ტურის შეხვედრას „სელტასთან“ არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. ესპანელებს კი მხოლოდ გამარჯვება აძლევდათ მეორე ადგილის დაკავების საშუალებას და მიაღწიეს კიდეც მიზანს. მატჩი „სელტამ“ — 2-1 მოიგო. აღსანიშნავია, რომ „მილანის“ შემადგენლობაში 90 წუთი ითამაშა კახი კალაძემ.

აქვე გაგაცნობთ იტალიური გუნდის სრულ შემადგენლობას: აბიატი, შიმიჩი, კოსტაკურტა (აბატე, 68), ლაურსენი, კალაძე, ბროკი, ზეედორფი (რუი კოშტა, 46), რედონდო, სერჟინიო, კაკა (ტომასონი, 46), ბორიელო.

ჯგუფის სხვა შეხვედრაში „ბრიუგემ“ 2-1 სძლია „აიაქსს“. მართალია, ბელგიელები მეორე ადგილს ვერ მისწვდნენ, მაგრამ უეფას თასის გათამაშებაში გადაერთვებიან.

გაგაცნობთ ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურის შედეგებს და საბოლოო სატურნირო ცხრილებს:






**A ჯგუფი**

**„ბაიერნი“ – „ანდერლეხტი“ 1-0.**
გოლი: 1-0 მაკაი (41, პენ.).
**„ლიონი“ – „სელტიკი“ – 3-2.**
გოლები: 1-0 ელბერი (6), 1-1 ჰართსონი (24), 2-1 ჟუნინიო (52), 2-2 სატონი (75), 3-2 ჟუნინიო (86, პენ).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლიონი“ | 6 | 3 | 1 | 2 | 8-8 | 10 |
| „ბაიერნი“ | 6 | 2 | 3 | 1 | 6-5 | 9 |
| „სელტიკი“ | 6 | 2 | 1 | 3 | 8-7 | 7 |
| „ანდერლეხ.“ | 6 | 2 | 1 | 3 | 4-6 | 7 |

**B ჯგუფი**

**„არსენალი“ – „ლოკომოტივი“ 2-0**
გოლები: 1-0 პირესი (12), 2-0 „ლიუნგბერგი“ (67)
**„დინამო“ – „ინტერი“ – 1-1**
გოლები: 0-1 ადანი (68), 1-1 რინკონი (85).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „არსენალი“ | 6 | 3 | 1 | 2 | 9-6 | 10 |
| „ლოკომოტ.“ | 6 | 2 | 2 | 2 | 7-7 | 8 |
| „ინტერი“ | 6 | 2 | 2 | 2 | 8-11 | 8 |
| „დინამო“ | 6 | 2 | 1 | 3 | 8-8 | 7 |

**C ჯგუფი**

**აეკ – „მონაკო“ – 0-0**
**„ეინდჰოვენი“ – „დეპორტივო“ 3-2**
გოლები: 1-0 დე იონგი (14), 2-0 რობენი (48), 2-1 ლუკე (59), 2-2 პანდიანი (83), 3-2 დე იონგი (94).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მონაკო“ | 6 | 3 | 2 | 1 | 15-6 | 11 |
| „დეპორტივო“ | 6 | 3 | 1 | 2 | 12-12 | 10 |
| „ეინდჰოვენი“ | 6 | 3 | 1 | 2 | 8-7 | 10 |
| აეკ | 6 | 0 | 2 | 4 | 1-11 | 2 |

**D ჯგუფი**

**„იუვენტუსი“ – „ოლიმპიაკოსი“ 7-0**
გოლები: 1-0 ტრეზეგე (14), 2-0 მიკოლი (19), 3-0 ტრეზეგე (25), 4-0 მარესკა (28), 5-0 დი ვაიო (62), 6-0 დელ პიერო (67), 7-0 სალაიეტა (79).
**„სოსიედადი“ – „გალათასარაი“ 1-1.**
გოლები: 0-1 შუქური (26), 1-1 დე პაულა (51).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „იუვენტუსი“ | 6 | 4 | 1 | 1 | 15-6 | 13 |
| „სოსიედადი“ | 6 | 2 | 3 | 1 | 8-8 | 9 |
| „გალათასარ.“ | 6 | 2 | 1 | 3 | 6-8 | 7 |
| „ოლიმპიაკ.“ | 6 | 1 | 1 | 4 | 6-13 | 4 |

**E ჯგუფი**

**„რეინჯერსი“ – „პანათინაიკოსი“ 1-3**
გოლები: 1-0 მოლსი (28), 1-1 ქუტაუტასი (32), 1-2 ბასინასი (62), 1-3 კონსტანტინუ (80).
**„მანჩესტერი“ – „შტუტგარტი“ – 2-0**
გოლები: 1-0 ვან ნისტელროი (45), 2-0 გიგზი (58).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მანჩესტერი“ | 6 | 5 | 0 | 1 | 13-2 | 15 |
| „შტუტგარ.“ | 6 | 4 | 0 | 2 | 9-6 | 12 |
| „პანათინაიკ.“ | 6 | 1 | 1 | 4 | 5-13 | 4 |
| „რეინჯერსი“ | 6 | 1 | 1 | 4 | 4-10 | 4 |

**F ჯგუფი**

**„პარტიზანი“ – „მარსელი“ 1-1**
გოლები: 0-1 მიდო (61), 1-1 დელიბაშიჩი (79).
**„რეალი“ – „პორტუ“ 1-1.**
გოლები: 1-0 სოლარი (9), 1-1 დერლეი (34. პენ).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „რეალი“ | 6 | 4 | 2 | 0 | 11-5 | 14 |
| „პორტუ“ | 6 | 3 | 2 | 1 | 9-8 | 11 |
| „მარსელი“ | 6 | 1 | 1 | 4 | 9-11 | 4 |
| „პარტიზანი“ | 6 | 0 | 3 | 3 | 3-8 | 3 |

**G ჯგუფი**

**„ბეშიქთაში“ – „ჩელსი“ 0-2**
გოლები: 0-1 ჰასელბენკი (77), 0-2 ბრიჯი (85).
**„სპარტა“ – „ლაციო“ 1-0**
გოლი: კინჩლი (90).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ჩელსი“ | 6 | 4 | 1 | 1 | 9-3 | 13 |
| „სპარტა“ | 6 | 2 | 2 | 2 | 5-5 | 8 |
| „ბეშიქთაში“ | 6 | 2 | 1 | 3 | 5-7 | 7 |
| „ლაციო“ | 6 | 1 | 2 | 3 | 6-10 | 5 |

**H ჯგუფი**

**„ბრიუგე“ – „აიაქსი“ 2-1**
გოლები: 1-0 ლანგე (27), 1-1 სონკი (42), 2-1 სეტერნესი (84)
**„მილანი“ – „სელტა“ 1-2**
გოლები: 1-0 კაკა (40), 1-1 ხესული (42), 1-2 ხოსე იგნასიო (71).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მილანი“ | 6 | 3 | 1 | 2 | 4-3 | 10 |
| „სელტა“ | 6 | 2 | 3 | 1 | 7-6 | 9 |
| „ბრიუგე“ | 6 | 2 | 2 | 2 | 5-6 | 8 |
| „აიაქსი“ | 6 | 2 | 0 | 4 | 6-7 | 6 |

## „მილანი“ რეკორდთან ახლოს

**14 დეკემბერს, იაპონიის ქალაქ იოკოჰამას სტადიონზე გაიმართება საფეხბურთო მატჩი საკონტინენტთაშორისო თასზე „მილანსა“ და არგენტინულ „ბოკა ხუნიორსს“ შორის. „მილანი“ შეეცდება, მეოთხედ მიიღოს ეს ჯილდო, რითაც ახალ რეკორდს დაამყარებს. აქამდე იტალიელებმა 6-ჯერ ისპარეზეს საკონტინენტთაშორისო თასზე და 3-ჯერ მიაღწიეს წარმატებას.**


ჩეზარე მალდინი

საკონტინენტთაშორისო თასისათვის ბრძოლა „მილანმა“ პირველად 1963 წელს გამართა ბრაზილიურ „სანტოსთან“, რომლის შემადგენლობაშიც იმ დროისათვის თამაშობდა „ფეხბურთის მეფე“ პელე. მაშინდელი წესებით, თასის მფლობელი ორ მატჩში ირკვეოდა. მაგრამ არა ორი მატჩის ჯამში, — თუ კი მოწინააღმდეგეები თითო შეხვედრას მოიგებდნენ ნებისმიერი ანგარიშით, საბოლოო გამარჯვებული მესამე დამატებით შეხვედრაში ირკვეოდა.

„მილანი“ — „სანტოსის“ პირველი შეხვედრა იტალიაში შედგა. უკვე მე-15 წუთისათვის მასპინძლები 2-0 იგებდნენ (თავი გამოიჩინეს ჯოვანი ტრაპატონიმ და ამარილდომ). შესვენების შემდეგ


მარცხნიდან: გულიტი, რაიკაარდი, ვან ბასტენი

„სანტოსმა“ პელეს დუბლის წყალობით ანგარიში გაათანაბრა, თუმცა ისევ ამარილდომ და ბრუნო მორიმ „მილანს“ გამარჯვება მოუტანეს — 4-2. მეორე შეხვედრა სახელგანთქმულ „მარაკანაზე“ შედგა. „მილანი“ იქაც 2-0 დაწინაურდა (გოლები გაიტანეს ქოზე ალტაფინიმ და მორიმ), თუმცა მეორე ტაიმში, 18 წუთის განმავლობაში პელემ კვლავ ორჯერ აიღო „მილანის“ კარი, შემდეგ კი ალმირმა და ლიმამ საქმე დამატებით მატჩამდე მიიყვანეს (4-2).

ორი დღის შემდეგ მესამე მატჩს „მარაკანაზე“ 165 ათასი მაყურებელი დაესწრო. 31-ე წუთზე ჩეზარე მალდინიმ წითელი ბარათი მიიღო და „სანტოსი“ დალმოს თერთმეტმეტრიანით დაწინაურდა. მინიმალური უპირატესობა მასპინძლებმა ბოლომდე შეინარჩუნეს და „სანტოსმა“ საკონტინენტთაშორისო თასი დაიტოვა (1962 წელს ეს ჯილდო „სანტოსმა“ პორტუგალიის „ბენფიკის“ დამარცხებით მიიღო).

6 წლის შემდეგ „მილანი“ ამ თასისათვის ბრძოლაში არგენტინულ „ესტუდიანტესს“ დაუპირისპირდა. იმ დროისათვის გამარჯვებული უკვე ორი მატჩის შედეგის ჯამში ირკვეოდა. პირველი მატჩი „მილანმა“ 3-0 მოიგო („დუბლი“ შეასრულა ანჯელო სორმანიმ, ხოლო ერთი გოლი გაიტანა ნესტორ კომბინამ).


პელემ 4 გოლი გაუტანა „მილანს“

მეორე მატჩი „მილანმა“ არგენტინაში 1-2 დათმო, თუმცა თასის მფლობელი მაინც გახდა. საინტერესოა, რომ განმეორებით შეხვედრაში არგენტინელი ფეხბურთელები ისე უხეშად იქცეოდნენ, რომ მათი ქვეყნის დიქტატორმა გენერალმა ონგანიამ მატჩის შემდეგ „ესტუდიანტესის“ სამი მოთამაშე — აგირე სუარესი, ედუარდო მანერი და ალბერტო პოლეტი დააპატიმრა.

1989 წელს, როცა საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი ერთ მატჩში, იაპონიაში ირკვეოდა, პენალტების სერიამდე ორი წუთით ადრე ალბერიგო ევანიმ ძლიერი საჯარიმო დარტყმით კოლუმბიური „ატლეტიკო მადელანას“ შვიდი მოთამაშისაგან ამართული „კედელი“ გაარღვია და ერთადერთი „მილანისათვის“ გამარჯვების მომტანი გოლი გაიტანა.

ერთი წლის შემდეგ საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელის ტიტული „მილანმა“ პარაგვაის „ოლიმპიასთან“ მატჩში წარმატებით დაიცვა — იტალიელებმა სამი უპასუხო გოლი გაიტანეს მეტოქის კარში. ორი გოლი ფრანკ რაიკაარდმა გაიტანა, ერთიც — ჯოვანი სტროპიმ.

1993 წელს „მილანი“ კვლავ მოხვდა იაპონიაში მარსელის „ოლიმპიკის“ ნაცვლად. ეს უკანასკნელი, როგორც ცნობილია, გათამაშებიდან მოხსნეს თამაშების გაყიდვასთან დაკავშირებით ატეხილი სკანდალის გამო. „მილანი“ დაძაბულ ბრძოლაში 2-3 დამარცხდა ბრაზილიურ „სან-პაულუსთან“, რომლის შემადგენლობაშიც იმ დროისათვის ბრწყინავდნენ რაი, ჟუნინიო და კაფუ. რა იცოდა ამ უკანასკნელმა, რომ 10 წლის შემდეგ მას ისევ მოუწევდა საკონტინენტთაშორისო თასზე თამაში „მილანის“ შემადგენლობაში.

ერთი წლის შემდეგ „მილანს“ კვლავ მიეცა ამ თასზე ბრძოლის საშუალება. ამჯერად მისი მეტოქე არგენტინული საფეხბურთო კლუბი „ველეს სარსფილდი“ იყო. მატჩი არგენტინელებმა 2-0 მოიგეს და თასი სამხრეთ ამერიკაში გაემგზავრა.

როგორი შედეგით დამთავრდება „მილანის“ მეშვიდე ცდა? სპეციალისტები უპირატესობას, რაღა თქმა უნდა, კახი კალაძის გუნდს ანიჭებენ, თუმცა „მილანის“ ხელმძღვანელობას კარგად ესმის, რომ იოკოჰამაში მძიმე ბრძოლა ელით.

## ნისტელროიმ რეკორდი დაამყარა

**„მანჩესტერ იუნაიტედის“ ფორვარდმა რუუდ ვან ნისტელროიმ „შტუტგარტთან“ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირის მატჩში თავისი 28-ე გოლი გაიტანა ევროტურნირებში და ამით თავისი კლუბის ახალი რეკორდი დაამყარა. ამდენივე გოლი ირიცხება ცნობილი შოტლანდიელი ფეხბურთელის დენის ლოუს ანგარიშზე, თუმცა იმ განსხვავებით, რომ 28 გოლის გატანა ლოუმ 33 მატჩში მოახერხა, ხოლო ნისტელროის ევროტურნირებში ჯერ მხოლოდ 30 მატჩი აქვს ჩატარებული.**

# ნბა



## „ორლანდომ" მოიგება „ისწავლა"

ნბა-ს რეგულარული ჩემპიონატის მორიგ ტურში „დალასი" ერთი ქულის სხვაობით დამარცხდა „კლიპერსთან" — 99:100. „დალასის" მარცხის მიზეზი გუნდის ერთ-ერთი ლიდერის დირკ ნოვიცკის უფერული თამაში იყო. მან 27 წუთი დაჰყო მოედანზე და ამ ხნის განმავლობაში გუნდს მხოლოდ 9 ქულა შესძინა. მართალია, ბრწყინვალედ ითამაშა ნოვიცკის თანაგუნდელმა ფინილმა, რომელმაც 38 ქულა დააგროვა, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა. „კლიპერსის" შემადგენლობაში შეუჩერებელი იყო ტრიო მეჯეტის, ბრანდისა და უილკოკსის მონაწილეობით. მეჯეტმა 30 ქულა დააგროვა. უილკოკსმა — 21, ხოლო ბრანდმა — 18.

ზედიზედ მეორე გამარჯვება იზეიმა ზაზა ფაჩულიას „ორლანდომ", რომელმაც 95:91 დაამარცხა „ვაშინგტონი". „ორლანდოს" წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის გუნდის ლიდერს ტრეისი მაკგრეიდის, რომლის ანგარიშზეც 27 ქულაა.

**სხვა შეხვედრათა შედეგები:** „მილუოკი" — „გოლდენ სტეიტი" — 94:89, „მემფისი" — „ატლანტა" — 103:90, „ბოსტონი" — „სიეტლი" — 126:112, „სან ანტონიო" — „პორტლენდი" — 102:77, „იუტა" — „ნიუ-იორკი" — 95:73.

## წარუმატებლობის გამო მწვრთნელი გააძევეს

ბოლო პერიოდში წარუმტებლად ასპარეზობს ნჰლ-ის კლუბი „ვაშინგტონი", რომელიც სატურნირო ცხრილში, ბოლოსწინა ადგილზე იმყოფება, — ამ გუნდის აქტივში უკვე 18 დამარცხებაა. ამის გამო, მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გაათავისუფლეს ბრუს კესიდი, რომელიც „ვაშინგტონს" 2002 წლის ნოემბრიდან ხელმძღვანელობდა.

## გრეტცკის მაისური 26,6 ათას დოლარად გაიყიდა

ნჰლ-ს ლეგენდის - უეინ გრეტცკის მაისური წარწერით „ედმონტონი" აუქციონზე 26,6 ათას დოლარად გაიყიდა. სწორედ ამ მაისურით ითამაშა გრეტცკიმ ჰოკეის ღია სტადიონზე გამართულ ვეტერანთა მატჩში.

## ლატვიის ჰოკეის ვიცე-პრეზიდენტი აშშ-ში არ შეუშვეს

რიგაში მოქმედმა აშშ-ს საკონსულომ უარი განუცხადა ლატვიის ჰოკეის ვიცე-პრეზიდენტს ჰელმუტ ბალდერისს ამერიკაში გამგზავრებაზე. ბალდერისი აპირებდა ჰოკეისტთა გუნდ „რიგი 2000"-სთან ერთად ამერიკულ ტურნეში მონაწილეობას. როგორც ჩანს ლიტველი ჰოკეისტები თავიანთი ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის გარეშე შეხვდებიან აშშ-ს უნივერსიტეტების გუნდებს. საინტერესოა, რომ უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში, ბალდერისს უკვე მეორედ უთხრეს უარი ოკეანისგაღმა გამგზავრებაზე.

## დონ კინგმა ტაისონს ფული მოპარა?

პროფესიონალ მოკრივეს მაიკ ტაისონს სერიოზული პრეტენზიები აქვს ცნობილ პრომოუტერთან დონ კინგთან. „რკინის მაიკი" თვლის, რომ 1995 წელს ჩატარებული ბრძოლების შედეგად მიღებული თანხიდან დონ კინგმა ჩუმად მიითვისა... 100 მილიონი დოლარი. საინტერესოა, რომ სასამართლომ დონ კინგი დამნაშავედ მიიჩნია ყოფილ ჩემპიონთან ტერი ნორისთან მიმართებაში.



აღმოჩნდა, რომ პრომოუტერს ამ მოკრივისთვისაც მოუპარავს ფული. დონ კინგმა აღიარა დანაშაული და თანხმაა, ტერი ნორისს 15 თვის განმავლობაში გადაუხადოს 7,5 მილიონი დოლარი.

## „ფორმულა-1"-ში ბუნტი აღარ იქნება



როგორც ცნობილია, ექვსი მსხვილი საავტომობილო კორპორაციის — „ფერარის", „მერსედესის", „ფორდის", „რენოს", „ბმვ"-სა და „ტოიოტას" ხელმძღვანელები აპირებდნენ „ფორმულა-1"-ის ალტერნატიული ორგანიზაციის ჩამოყალიბებას, რადგან ისინი უკმაყოფილონი იყვნენ ბერნი ეკლსტოუნისეულ მსოფლიო ჩემპიონატით. საბოლოოდ რამდენიმე დღის წინ კორპორაციის ხელმძღვანელები კიდევ ერთხელ შეიკრიბნენ და უარი თქვეს ალტერნატიული ჩემპიონატის ჩატარებაზე. „ფერარის" პრეზიდენტის ლუკა დი მონტეზემელოს განცხადებით, ბერნი ეკლსტოუნს მართლაც დიდი წვლილი მიუძღვის „ფორმულა 1"-ის განვითარებასა და პოპულარიზაციაში, ამიტომ ამ ეტაპზე მიზანშეწონილად მიაჩნია ალტერნატიული ჩემპიონატის ჩატარება.

## შუმახერმა ავიაგამანადგურებელს გაუსწრო...



„ფერარის" მანქანამ, რომელსაც მიხაელ შუმახერი მართავდა, გროსეტის სამხედრო აეროდრომის ასაფრენ ბილიკზე შეჯიბრების დროს გადაუსწრო ავიაგამანადგურებელ „ევროფაიტერს" 600 მეტრ დისტანციაზე. გარდა ამისა, ავიაგამანადგურებელმა, რომელსაც პილოტი მაურიციო კიელი მართავდა, „ფერარის" პილოტს აჯობა 900 და 1200 მეტრ დისტანციებზე.

„ეს იყო საინტერესო შეჯიბრი, თუმცა ამას მე ვამჯობინებ პაექრობას მონტოიასთან და ჩემს ძმასთან „ფორმულა-1"-ის ფარგლებში" — განაცხადა მიხაელ შუმახერმა.

## «ფერარიც» ახალ ბოლიდს ამზადებს

ცნობლია, რომ ახლახან „ფორმულა 1"-ის გუნდმა „მაკლარენმა", რომელიც მომავალ სეზონში „ფერარის" უმთავრეს კონკურენტად ითვლება, ახალი ბოლიდი წარმოადგინა. იგივეს გაკეთებას 5 იანვრისათვის აპირებს „უილიამსის" ხელმძღვანელობაც.

როგორც გაირკვა, კონკურენტებს ვალში არც „ფერარი" დარჩება. წლის საუკეთესო გუნდის ხელმძღვანელობა აპირებს მომავალი სეზონის პირველივე „გრან-პრის" ახალი ბოლიდით შეხვდეს.

## „ფორმულა 1"-ში პიკე — უმცროსი გამოჩნდა

გასულ კვირაში „ფორმულა"-1-ში შედგა ნელსინიო პიკეს დებიუტი. იგი ლეგენდარული პილოტის ნელსონ პიკეს ვაჟიშვილია. ორი [illegible]ის განმავლობაში ის მონაწილეობდა საცდელ რბოლებში „უილიამსის" ბოლიდით.

„ეს ჩემთვის ისტორიული მომენტი იყო", — განაცხადა რბოლის შემდეგ პიკე უმცროსმა, რომელიც რალფ შუმახერს სულ სამიოდე წამით ჩამორჩა.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები





**12 დეკემბერი, პარასკევი**

**საქართველოს ტელევიზია. მე-9 არხი.** „ქართული ფეხბურთი" (14.50), **იმედი.** სპორტული პროგრამა „ასი" (10.30), ***НТВ.*** სუპერკრივი. ბერნარდ ჰოპკინსი — კარლ დენიელსი (0.15). ***НТВ плюс футбол.*** ჩემპიონთა ლიგა (13.20), ჩემპიონთა ლიგა. პლეი-ოფის წილისყრა. პირდაპირ ტრანსლაცია შვეიცარიიდან (15.00), მინიფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი: მოსკოვის „სპარტაკი" — „ტტგ-იავა" (15.15), „ფუტბოლ მუნდიალი" (17.25), ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატი არაბეთის გაერთიანებულ ემირატებში. მეოთხედფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია (17.55, 20.55, 23.10, 0.55), ბრაზილიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (19.55), კალათბურთი. ნბა-ს მატჩი (5.00) ***НТВ плюс спорт.*** ჰოკეი. ნხლ-ის ჩემპიონატის მატჩი (11.45), კალათბურთი. ნბა-ს მიმოხილვა (15.00), ტაილანდური კრივი. ბრძოლა რუსეთის ჩემპიონობისთვის: დენის დიკუსარი — კონსტანტინე სისოევი (15.40), ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (16.55, 19.25), ტაეკვანდო. საერთაშორისო ტურნირი (17.50), ბილიარდი. ევროპის ჩემპიონატი რუსულ ბილიარდში. კიევიდან (1.45). EUROSPORT. ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა (11.30, 21.30), სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი (19.00), ცურვა. ევროპის ჩემპიონატი (2.15).

**13 დეკემბერი, შაბათი**

**საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.** ჩემპიონთა ლიგის კვირის მიმოხილვა (19.00), **იმედი.** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი (23.30 — პირველი ტაიმი, 0.30 — მეორე ტაიმი), ***НТВ плюс футбол.*** ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატი არაბეთის გაერთიანებულ ემირატებში. მეოთხედფინალი (13.15), ბრაზილიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (15.25), „ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი" (15.55), ინგლისის ჩემპიონატი: „მანჩესტერ იუნაიტედი" — „მანჩესტერ სიტი" (16.25, პირდაპირი ტრანსლაცია), გერმანიის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია (18.25), ინგლისის ჩემპიონატი (20.45), მინიფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი: „სპარტაკი" — „ტტგ-იავა" (22.30), ესპანეთის ჩემპიონატი პირდაპირი ტრანსლაცია (0.25). კალათბურთი. ნბა (4.00, 6.00, 6.30, 7.00 — ჩემპიონატის მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია). ***НТВ плюс спорт.*** ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (13.25, 14.25, 15.25), კალათბურთი. ნბა-ს ჩემპიონატი (18.30), „დიდი რინგი" (22.25), ტაილანდური კრივი. ბრძოლა რუსეთის ჩემპიონის ტიტულისათვის: დენის დიკუსარი — კონსტანტინ სისოევი (2.40), ფიგურული ციგურაობა. საერთაშორისო შეჯიბრება. გრან-პრი. ფინალები. ვაჟები, ქალები. პირდაპირი ტრანსლაცია (5.55, კოლორადო სპრინგსიდან, აშშ). EUROSPORT. ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა (11.30), ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (16.30, 18.30, 21.30, 23.30). ცურვა. ევროპის ჩემპიონატი (20.15).

**14 დეკემბერი. კვირა**

**საქართველოს ტელევიზია. მე-9 არხი.** „მსოფლიო ფეხბურთი" (21.30), **იმედი.** სპორტული პროგრამა „ასი" (18.00), ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი (22.30 — პირველი ტაიმი, 0.30 — მეორე ტაიმი). ***НТВ плюс футбол.*** გერმანიის ჩემპიონატი (11.00, 20.25 — პირდაპირი ტრანსლაცია), ინგლისის ჩემპიონატი (13.15), ესპანეთის ჩემპიონატი ([illegible]), 1.35 „ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი" (16.45), ბრაზილიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (17.10), იტალიის ჩემპიონატი (17.55 — პირდაპირი ტრანსლაცია, 23.25 — პირდაპირი ტრანსლაცია), „ცხრიანი" (19.50), კალათბურთი. ნბა-ს მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია (4.00, მიმოხილვა — 6.30, ლეგენდები — ბობი მაკ-ადოო — 7.00). ***НТВ плюс спорт.*** ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (14.40, 15.45), ფიგურული ციგურაობა. საერთაშორისო შეჯიბრება. გრან-პრი. ფინალი: წყვილები, ვაჟები, ნებისმიერი პროგრამა (17.30, 0.55), ჰოკეი. ნხლ-ის ჩემპიონატის მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია (4.00). EUROSPORT. ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი: ტრამპლინიდან ხტომა (11.30, 17.00, 22.15, 2.15), სამთო თხილამურები (13.00, 15.45), ბობსლეი (18.45), ცურვა. ევროპის ჩემპიონატი (20.15), კრივი. პროფესიონალები (23.00).

## გახსენება

სპორტულ ტანვარჯიშში საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებულ ოსტატს, უმაღლესი კატეგორიის მსაჯს, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატს, დოცენტს, თაობების აღმზრდელ მწვრთნელ-პედაგოგს, სპორტის აკადემიის სპორტული ტანვარჯიშის კათედრის ყოფილ გამგეს, მრავალი სამეცნიერო შრომის ავტორს, სასიქადულო მამულიშვილს ალექსანდრე ჟორჟაძეს 15 ოქტომბერს დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდებოდა.

## კროსვორდი № 96



**თარაზულად:** 5. სპორტული ინფორმაციის ელექტრონული მოწყობილობა, 8. დღეს საქართველოში მოღვაწე უცხოელი საფეხ. მწვრთნელი, 9. ვეტერანი ქართველი ფეხბურთელი — მეკარე, 10. ილეთი აკრობატიკაში, ტანვარჯიშში, წყალში ხტომაში. 12. სპორტში გამარჯვებულის გამოვლენის ერთ-ერთი კომპონენტი, 13. ცნობილი ქართველი ვეტერანი ფალავანი, 15. კონტინენტი, 16. ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაცია (შემოკლებით), 17. ცნობილი რუსი ვეტერანი ფეხბურთელი („სპარტაკი"), 18. ფეხბურთელი, მეკარე, ამჟამად მწვრთნელი, 22. საქართველოს საფეხბ. კლუბი, 24. იტალიის საფეხბ. კლუბი, 25. საფეხბ. კლუბების გაერთიანება ზოგიერთ ქვეყანაში, 26. ცნობილი იაპონელი ფეხბურთელი, 1998 წ. მს. ჩემპიონატის მონაწილე, 27. მძლეოსნური გარბენის სახეობა.

**შვეულად:** 1. რბენა გრძელ მანძილზე, 2. ლეგენდარული ნავი, რომელიც კოლხეთს მოადგა, 3. გამოუვალი მდგომარეობა ჭადრაკის თამაშში, 4. ტერმინი სროლასა და მშვილდოსნობაში, 5. ილეთი ჭიდაობაში, 6. ჰოლანდიის საფეხბ. კლუბი, 7. ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი (1952), 11. ფრანგული ფეხბურთის ვარსკვლავი, 14. ერთგვარი ნავი ნიჩბოსნობაში, 15. ცხენის სახელი „მთვარის მოტაცებაში", 16. მადრიდის „რეალის" პორტუგალიელი ფორვარდი, 19. მძლეოსნური იარაღი, 20. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 21. მარადონას სახელი, 22. სპორტულ-სამეჯლისო ცეკვების ცნობილი კლუბი თბილისში, 23. ნბა-ს გუნდი.

შეადგინა ნოდარ ჯაჯვაძემ

### №95 კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 8. ჰელსინკი, 9. ტრიალი, 10. ფიფა, 11. კანი, 12. ლი, 14. კენია, 16. რბენა, 18. კორტი, 20. აბგა, 21. ტაბიძე, 24. იტალია, 26. აკობია, 27. „იეი", 28. ხმალი, 29. ელინგი.

**შვეულად:** 1. ტელერეპორტაჟი, 2. ოსტატი, 3. ინოკი, 4. „სიონი". 5. იტო, 6. „ლილი", 7. „ალგა", 13. დერბი, 15. „ასი", 17. ახალკაცი, 19. ტალი, 21. ტაიმი, 22. ბროლი, 23. ძუა, 25. გორი.

## საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი
(სოფ. კარდენახი)



შამათი 2 სვლაში

№ 95-ში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:

1. მd3 --- 2. ლc5X
1. ..... ეc:e2 2. მ:b2X,
1. ..... ეe:e2 2. მde5X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: gazeti_lelo@hotmail.com